ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

30 აგვისტოდან!
„ახალი თაობა"
+
ალექსანდრე მაკედონელი
8 ლარი




ოთხშაბათი, 4 სექტემბერი, 2013 №209 (6210) ფასი: 30 თეთრი

# ვინ შეცვლის ივანიშვილს — ღარიბაშვილი, ალასანია თუ კვირიკაშვილი?





გვ.3





## „112"-ის დეპარტამენტი მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდა

გვ.6

## სააკაშვილი მყინვარწვერის დალაშქვრას აპირებს

გვ.3

რატომ გავრცელდა ჭორი საზღვრის გადმოწევის შესახებ





გვ.2

## ჯონდი ბაღათურია: „ქვეყანა არასტაბილურობისკენ მიდის"

გვ.5

## გაზის მილები სახიფათოა





## კერძო იპოთეკარებისგან დაზარალებულები საბანკო კანონმდებლობის შეცვლა მოითხოვეს

გვ.6



## პაატა ზაქარეიშვილი: „საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ცალსახად სამშვიდობოა"

გვ.4

ISSN 1987-9385

2 თავდაცვის სამინისტროს ყველა სამხედრო ქვედანაყოფში მზადყოფნაა გამოცხადებული

4 სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაზე უარი უთხრეს

6 ავიაკომპანია „ფლაი ჯორჯია" მორიგ სკანდალში გაეხვია

5 ჯანდაცვისთვის არავის სცალია

# ჯონდი ბაღათურია: „ქვეყანა არასტაბილურობისკენ მიდის“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ „ქართული დასის“ ლიდერ ჯონდი ბაღათურიასთან

***— ბატონო ჯონდი, დღეს აქტიურად მიდის საუბარი იმის თაობაზე, რომ რეგიონების დონეზე ნაციონალები კვლავ ბრუნდებიან ხელისუფლებაში, ძირითადად გამგებლების და საკრებულოს თავმჯდომარეების დონეზე. უკვე მერამდენე რაიონში მოხდა გამგებლის გადაყენება და მის ადგილზე ნაციონალის დანიშვნა. რა ხდება, ბატონო ჯონდი, რა პროცესებთან გვაქვს საქმე?***

— ნაციონალები უკან არ ბრუნდებიან, ისინი არც არსად არ წასულან. უბრალოდ ტყავი გამოიცვალეს და შუბლზე ახლა ნაციონალის ნაცვლად ქართული ოცნების იარლიყები მიირტყეს და ამით დადიან. ქართული ოცნება ამას შეცდომით კი არ აკეთებს, ამას შეგნებულად აკეთებს. რეალურად, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა ოცნებამ ხალხი მოატყუა და უღალატა თავის დანაპირებს. არა მხოლოდ სამართლიანობის აღდგენას, არამედ ყველა მის შეპირებას უღალატა და შედეგებიც სახეზეა. ამ ყველაფრის ნათელი ლუსტრაცია არის თბილისის საკრებულო. ჩვენს საკრებულოში ერთი ნაციონალი წავიდა და მეორე ნაციონალი მოვიდა. ის წინა ნაციონალი, მწერალი მაინც იყო და წიგნი მაინც ჰქონდა წაკითხული და ახლა მოვიდა ულტრანაციონალი, ნაციონალების ნამდვილი სახე. უბრალოდ გადაირქვეს ეს სახელი, თორემ საქმით, ისევ ძველ საქმეს აკეთებენ. ან რა უნდა გააკეთონ, მეტი არაფერი უსწავლიათ ცხოვრებაში.

***— მერედა ეს იყო ხალხის არჩევანი? ეს რამდენად ჯანსაღი პროცესია?***

— ნამდვილად არ იყო ეს ჩვენი ხალხის არჩევანი. როგორ შეიძლება ეს პროცესი ჯანსაღი იყოს?! პროცესი, რომელიც პირდაპირ არის აღქმული ღალატად! ამას შეიძლება ჯანსაღი პროცესი ეწოდოს? ეს რალატი მარტო სიტყვის და შეპირების კი არ არის, რეალურად სახელმწიფო ინტერესების ღალატია. ჩვენ ნაციონალურ მოძრაობაში სახელებს და გვარებს კი არ ვებრძოდით. ჩვენ ვებრძოდით იდეოლოგიას, მტრულ განწყობას ერის და სახელმწიფოს მიმართ. ვებრძოდით არაკაცობას, უსინდისობას, თორემ სახელებს და გვარებს რას ვერჩოდით? მიხეილი მშვენიერი სახელია და გვარსაც რას ვერჩით...

***— რამდენად სახიფათო ვითარებაა?***

— ეს პროცესები აუცილებლად მიიყვანს ქვეყანას არასტაბილურობამდე. ამის განწყობები არის საზოგადოებაში. ქვეყნის განვითარება შეფერხებულია, ეკონომიკა არ ვითარდება, პირიქით, იკლებს მაჩვენებელი. ხალხი კარგავს სამუშაო ადგილებს, ხალხის ქონება დაყადაღებული აქვს ბანკებს და მევახშეებს. ეს ბანკები კი არიან ძველი და ახალი ხელისუფლების მფლობელობაში. შეიძლება ითქვას, რომ ძველ და ახალ ხელისუფლებას აქვს დაყადაღებული საზოგადოების დიდი ნაწილის ქონება, დაახლოებით ნახევარმილიონამე ოჯახის და წარმოიდგინეთ რამდენ ადამიანს ეხება ეს.

***— იმის თქმა გინდათ, რომ ორმა ხელისუფლებამ გადაინაწილა ერთმანეთში ხალხის ქონება?***

— დიახ, ასეა. ორ ხელისუფლებას რაც შეეხება, გეტყვით, რომ ქართული ოცნების 80% არიან ძველი ნაციონალები, აღარაფერს ვამბობ იმათზე, ახლა რომ იცვლიან ტყავს და ოცნებაში გადადიან. მათ შორის ძირითადი ნაწილი ნაციონალებიდან წამოვიდა სულ ერთი და ორი წლის წინ. ანუ 7 ნოემბრის მერე ეს ხალხი რჩებოდა ნაციონალურ მოძრაობაში და ამართლებდნენ ამ ამბავს. 8 აგვისტოს ომის შემდგომ რჩებოდნენ ნაციონალურ მოძრაობაში და ამართლებდნენ ამ ომს და ასე შემდგომ. ამიტომ, მოდით, ქართულ ოცნებას ნუ დავაბრალებთ, თქვენ ნაციონალებს დაემსგავსეთო, ესენი ისედაც იყვნენ ნაციონალები. მათ შორის რაღაცა კონფლიქტები იყო, მაგრამ ეს კონფლიქტები არ იყო იდეოლოგიური, რაღაცა ზნეობრივი, ეს იყო ფინანსურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური კონფლიქტი. ვიღაცას ამბიცია არ დაუკმაყოფილეს და მინისტრად არ დანიშნეს. ვიღაცას ცოლი არ დაუნიშნეს სადღაც, ან ბიძაშვილი და ამ სახის კონფლიქტები ხდებოდა და მერე ტოვებდნენ ნაციონალურ მოძრაობას და ეს ხალხი, ყველანი ჩაბარგდნენ ქართულ ოცნებაში. ყველას არ ეხება ეს, მაგრამ 80% მართლაც ასეა. არის 20%, რომელიც წესიერი ადამიანიც არის, კვალიფიციურიც, მაგრამ არა აქვს ინტრიგანობის და ყურში ჩაჩურჩულების გამოცდილება. ასეთი 20% კი ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ იღებს. გადაწყვეტილებებს იღებენ საყოველთაოდ ცნობილი ინტრიგანები. არის ასეთი კატეგორია ადამიანების, რომელიც უუნაროა, რომელსაც არაფრის შენება და შექმნა არ შეუძლია. არ შეუძლია იმიტომ, რომ სიყვარული არა აქვს; რაღაც რომ შექმნა, ამას სიყვარული სჭირდება, სიყვარულს რწმენა სჭირდება. ამ ხალხს ეს არა აქვს, ამისგან დაცლილია. ამიტომ მათ სხვა უნარები უვითარდებათ და მათ დიდი უნარი აქვთ ინტრიგანობის, ინტრიგების ქსოვის, ყურში ჩალაპარაკების, მლიქვნელობის. მათ შეუძლიათ ყველაფერი იკადრონ, დაწვნენ, დადგნენ, რა ვიცი, ნებისმიერი პოზა დაიჭირონ იმისათვის, რომ უფროსობას თავი მოაწონონ, სხვაზე კომპრომატები მიაწოდონ და ქვეყნის გაშენებას და განვითარებას ხელი შეუშალონ.

***— ეს ხდება დღეს ივანიშვილის კარზე?***

— ეს ზოგადად ყველა კარზე ხდება. არ არსებობს კარი, არ არსებობს ლიდერი, რომლის გარშემო ასეთი მლიქვნელების გარემოცვა არ იკრიბებოდეს. ამ დროს ლიდერზეა ძალიან ბევრი რამ დამოკიდებული. ყველა ლიდერთან არის იმის მცდელობა, რომ ის რაღაც ინფორმაციულ გარსში მოათავსონ, რაც შეიძლება ბევრი იმლიქვნელონ, ამით ასიამოვნონ და ამით კმაყოფილების ნირვანაში ამყოფონ. თუმცა თვითონ ლიდერს უნდა ჰქონდეს რწმენა და სიყვარული და ცდილობდესჰ გაარღვიოს ინფორმაციული ბარიერები და თავისი ხალხის ხმა მოისმინოს, თავისი ერის მაჯის ცემა მოისმინოს; სტკიოდეს და განიცდიდეს იმ სირცხვილს, რაც დღეს ჩვენს სახელმწიფოს სჭირს. ამიტომ თავად ივანიშვილზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. თუმცა მან გუშინ კიდევ ერთხელ გააკეთა განცხადება — სხვისი ჭირი ღობეს ჩხირი, მე მივდივარო... და რა ვქნა, რა ვილაპარაკო? მე მიმაჩნია, რომ ეს არის სრულიად უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება, რაც კიდევ ერთხელ მაჩვენებელია იმისი, რომ ქართული ოცნება მხოლოდ ოცნება იყო და მეტი არაფერი.



***— რა პროცესები შეიძლება გამოიწვიოს მისი ხელისუფლებიდან წასვლამ?***

— საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ, მე ველოდები პოლიტიკურად არასტაბილურ გარემოს, რაც ძალიან ცუდია, მაგრამ ასე იქნება. ივანიშვილის წასვლის დღიდან კი ძალიან აქტუალური გახდება მოთხოვნა — რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების. მე მინდა გითხრათ, რომ ივანიშვილის დანატოვარი უსუფაშვილი, ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებს. ახლა პირდაპირ და ღიად გეტყვით, რომ ჩვენ ამ პროცესს ხელს შეუწყობთ. მართალია ჯერ არ წასულა ივანიშვილი, მაგრამ ღიად ვაცხადებ, ჩვენ ვიქნებით ორგანიზატორები ხელისუფლების ცვლილებისა და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებისა ქვეყანაში, იმ შემთხვევაში, თუ ივანიშვილი წავიდა. აქამდე ხომ ამაზე სიტყვა არ გვითქვამს, ახლა ამას პირდაპირ ვამბობ.

***— ივანიშვილი რომ მიდის, ამაში ეჭვი აღარავის ეპარება... ის ღიად საუბრობს ამაზე, რომ ძალიან მალე წავა...***

— ხოდა, ძალიან მალე მიიღებს საპროტესტო აქციებს მისი დანატოვარი უსუფაშვილის წინააღმდეგ. სწორედაც რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით. იმიტომ, რომ ასე შემოპარება უსუფაშვილის და ხიდაშელის, რაც ახლა მოხდა, ეს ნამდვილად არ არის სამართლიანი საქციელი. ხალხმა ხმა მისცა ივანიშვილს. ხმა მისცა მისი პატივისცემითაც, მაგრამ ასევე ხმა მისცა იმ შეპირებებს, რასაც ის ხალხს ჰპირდებოდა. კეთილი ინებოს და ეს შეასრულოს! ჯერ არაფერი არ გაკეთებულა, გარდა იმისა, რომ ეს რეპრესიული რეჟიმი შეიცვალა. კი ბატონო, ეს ძალიან კარგია, მაგრამ საქმე გააკეთოს. საქმე არ არის გაკეთებული. ვიმეორებ, უსუფაშვილი არავის არ აურჩევია, ეს ყველამ კარგად იცის. ერთი ძველი ფილმი მახსენდება — ელამი ქალი შემოგვაპარესო, ეგრეა ჩვენი საქმე. ხალხს ხმა მიაცემინო სულ სხვაზე და სულ სხვა შემოაპარო, ეს არ არის სამართლიანი საქციელი და საზოგადოებას აქვს ეს განცდა უსამართლობის.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ მისი პოლიტიკაში მოსვლის მთავარი როლი ის იყო, რომ მემკვიდრედ რესპუბლიკელები დაეტოვებინა?***

— მე რაც ჩანს, იმას ვამბობ. რა იყო მისი მიზანი, არ ვიცი, შესაძლოა ძალიან კეთილშობილური მიზნები ჰქონდა და ერთ-ერთი განახორციელა კიდეც ამ დამნაშავე ბანდის ჩამოცილებით, მაგრამ ფაქტი სახეზეა, კაცი მოვიდა, შემოისეირნა პოლიტიკაში, არ მოეწონა, დაიხურა ქუდი და მიდის. რას გვიტოვებს? არეულობას და უნდა, რომ ეს არეულობა უსუფაშვილს დაალაგებინოს?!

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ქაოსს გამოიწვევს მისი წასვლა?***

— ქაოსი არის უკვე. ასეთ რამეს რომ გაგიბედავს თურქი თბილისში, შუაგულ ქალაქში, რომ ქალზე ძალადობს და ეუბნება, სამსახურიდან გაგაგდებ, თუ ლოგინში არ ჩამიგორდებიო და ხატები და ჯვრები ჩამოხსენითო, ამაზე მეტი ჩაფურთხება სულში რა უნდა იყოს?!

***— რატომღაც ამას პროტესტი არ მოჰყოლია ხელისუფლებაში...***

— მხოლოდ კოლექტიური აპროტესტებს და „მალადეც“, როგორ ერთ მუშტად შეკრული კოლექტივი ყოფილა. ამას პროტესტი არ უნდა, უნდა ადგე და ფეხებით უნდა დაკიდო და სწორედ ასეთი რეაგირება მოჰყვება ძალიან მალე. როცა ხალხი დაინახავს, რომ მართლმსაჯულება არ მუშაობს, მერე თვითონ აწარმოებს ამ მართლმსაჯულებას. ლინჩის წესი სწორედ აქედან შემოვიდა. როცა ხედავდა ხალხი, რომ მართლმსაჯულება არ რეაგირებდა, არ ფუნქციონირებდა, თვითონვე ასამართლებდა.

***— თუმცა ეს ძალიან საშიშია ქვეყნისთვის, ბატონო ჯონდი...***

— საშიშია? იცით, რა არის ძალიან სამარცხვინო? ერთი ხმა პარლამენტისგან არ წამოსულა. ერთ პარლამენტის წევრს თავი რ შეუწუხებია და თავი შეურაცხყოფილად არ უგრძნია. მაინცდამაინც პირადად უნდა მიაყენონ შეურაცხყოფა, რომ რეაგირება მოახდინოს და ხმა ამოიღოს თუ რა ხდება, ვერ გავიგე? ამ არასამთავრობო ორგანიზაციებს დიდი ამბავი რომ ჰქონდათ ჭალაში უკანონო მშენებლობის შეჩერების გამო ატეხილი, ხმა რომ არ ამოუღიათ გუშინ არც ერთს, ამას თუ ატყობთ? უფლებადამცველები არიან და რელიგიური ნიშნით დევნაზე, უფროსისგან ქალების იძულებაზე და ზეწოლაზე, რომ მასთან სექსუალური კავშირი დაამყარონ, ეს, იცით, როგორი სამარცხვინო ადამიანის უფლებათა დარღვევებია 21-ე საუკუნეში?! და ამას გიკეთებენ შენს სახელმწიფოში! ეს სამარცხვინოა და ამ სირცხვილს ჩამორეცხვა სჭირდება. ივანიშვილი თუ არ ჩამორეცხავს ხალხს ამ სირცხვილს, ხალხი თვითონ ჩამოირეცხავს და ეს ჩამორეცხვა იქნება უფრო მტკივნეული მოძალადისთვისაც და მისთვისაც, ვისაც ევალებოდა, რომ სამართალი აღესრულებინა.

***— რაც შეეხება ივანიშვილს, საუბარია, რომ ის აღარ ენდობა საკუთარ უმრავლესობას, გარემოცვას და განაწყენებული ტოვებს პოლიტიკას. რამდენად არის ეს ასე?***

— შესაძლოა, რომ ასეც იყოს. აბა, რა გარემოცვა ჰყავს მას, შეხედეთ. მის გარშემო არიან მლიქვნელობაში გაწაფული ადამიანები. წესიერ ხალხს მასთან კომუნიკაციის არანაირი საშუალება არა აქვს. მას ვერ ელაპარაკებიან. მინისტრი რომ მთავრობის სხდომაზე ხუთი წუთით ადრე გაიგებს, რომ ის ვიცე-პრემიერად დაუნიშნავთ, ეს რაზე მეტყველებს? კომუნიკაცია არა აქვთ პრემიერთან. მინდა გითხრათ, რომ ბევრი წესიერი მინისტრია, მაგრამ რად გინდა...

***— ესე იგი თქვენ არ ელით დადებით პროცესებს და ფიქრობთ, რომ პოლიტიკურად ცხელი შემოდგომა გველის?***

— არასტაბილური შემოდგომა გვაქვს უკვე სახეზე და ეს არასტაბილურობა გამწვავდება. თუმცა მე მინდა გითხრათ, რომ ცუდში არაფერში ეს არ გადაიზრდება. იცით, მშობიარობა ხომ დიდი ტკივილებით მიდის არა, როგორც ჩანს, აქაც ასეა, ჩვენმა ქართველმა საზოგადოებამაც ტკივილით უნდა შვას უკეთესი აწმყო და უკეთესი მომავალი. რა თქმა უნდა, ყველა ვისურვებდით, რომ ეს პროცესი მშვიდად და სტაბილურ გარემოში წასულიყო, მაგრამ როგორც ჩანს, ცოტა ტკივილიანად წავა. ტკივილში იმას ვგულისხმობ, რომ იქნება საპროტესტო აქციები, იქნება დაძაბულობები, მაგრამ ჩვენ დესტაბილიზაციას არ დავუშვებთ. თუმცა არც უსინდისობის და ძალადობის ზეიმს არ დავუშვებთ.

# თავდაცვის სამინისტროს ყველა სამხედრო ქვედანაყოფში მზადყოფნაა გამოცხადებული



საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ მოსალოდნელ ბუნებრივ სტიქიასთან დაკავშირებით ყველა სამხედრო ქვედანაყოფში გამოცხადებულია მზადყოფნა. თავდაცვის უწყება, საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივ მოსახლეობას მხარდაჭერასა და დახმარებას აღმოუჩენს. საგანგებო რეჟიმში დაიწყებს მუშაობას საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების სარდლობის დასავლეთ ოპერატიული დაჯგუფება.

„საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კოორდინირებულად იმუშავებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებთან.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ხვალ, 4 სექტემბრის დღის მეორე ნახევრიდან საქართველოს ტერიტორიაზე, შავი ზღვის მხრიდან გავრცელებას იწყებს ბალტიის ზღვიდან გადმონაცვლებული ციკლონი, რომელიც გამოიწვევს დასავლეთის მიმართულების ქარის გაძლიერებას, ჰაერის ტემპერატურის მკვეთრ დაწევას, დასავლეთ საქართველოში ძლიერ წვიმებს, ზოგან სეტყვას, ზღვის ძლიერ ღელვას და ცალკეულ მდინარეებზე ძლიერ წყალმოვარდნებს. გააქტიურდება ღვარცოფი და მეწყერსაშიში უბნები“, — ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს მიერ დღეს გავრცელებულ განცხადებაში..

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვინ შეცვლის ივანიშვილს — ღარიბაშვილი, ალასანია თუ კვირიკაშვილი?

შორენა მარსაგიშვილი

მთელი ერი უკვე გაგებით ვეკიდებით იმ ფაქტს, რომ პრემიერი პოლიტიკიდან მიდის. მის ამ გადაწყვეტილებას ზოგი გმობს, ზოგი იწონებს, ზოგისთვის კიდევ სულერთია. ახლა ერს იმის გარკვევა აინტერესებს, ვინ იქნება მისი შემცვლელი. ისე, რა უცნაური ხალხი ვართ ეს ქართველები, წინ საპრეზიდენტო არჩევნები გველის, ჩვენ კი იმას ვარკვევთ, ვინ გახდება მთავრობის მეთაური.

მეოცნებეების კულუარებში ბევრს საუბრობენ იმაზე, თუ ვინ ჩაანაცვლებს ბიძინა ივანიშვილს. როგორც ამბობენ, ჯერ კონკრეტული არჩევანი არ გაუკეთებიათ. თუმცა 3 კაცზე აქვთ გონივრული ეჭვი. „ეჭვმიტანილები“ გიორგი კვირიკაშვილი, ირაკლი ალასანია და ირაკლი ღარიბაშვილი არიან. ივანიშვილის განსაკუთრებული ნდობით ეს უკანასკნელი სარგებლობს. ღარიბაშვილი, როგორც ამბობენ, ერთგული ადამიანია და ივანიშვილს არ უღალატებს. თუმცა შესაძლოა ის სწორედ ამ მიზეზით დატოვონ შს მინისტრის პოსტზე. შინაგან საქმეთა მინისტრზე ბევრი რამეა დამოკიდებული.

ახლო მომავალში ალბათ კიდევ რამდენიმე კანდიდატურა დასახელდება. საბოლოო გადაწყვეტილებას კი, რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილი მიიღებს.

პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებით, პრემიერ-მინისტრის პოსტზე კანდიდატი ჯერ შერჩეული არ არის და არც შეიძლება, იყოს.

— პრემიერ-მინისტრის გადადგომა საქართველოს კონსტიტუციით იწვევს მთავრობის გადადგომას. მოქმედი უმრავლესობის მხრიდან წარმოდგენილი იქნება ახალი პრემიერ-მინისტრი. ეს არის კონსტიტუციური მოთხოვნა, ესაა ჩვენი პოლიტიკური პროცესი. უმრავლესობა წარმოადგენს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას და მერე შეიცვლება მთავრობა. მთავრობის შექმნა თავიდან არ ნიშნავს ყველა მინისტრის შეცვლას, შესაძლოა, იყოს საკადრო ცვლილებებიც, მაგრამ ზოგადად პრემიერ-მინისტრი კმაყოფილია დღევანდელი მთავრობით, ამიტომ რაიმე სერიოზულ ცვლილებებს არ ველით. ბიძინა ივანიშვილს არ უთქვამს, წავედიო, მან თქვა, წავალო, ამიტომ კანდიდატზე როგორ უნდა ვილაპარაკოთ. ამასთან, ყურადღება მიაქციეთ მისი მიმართვის ბოლო ფრაზას, სადაც ის ამბობს, რომ წავალ გარკვეული პროცესების და ეტაპების შემდეგ. ამიტომ დღეს ამაზე დროის ხარჯვა, ვინ იქნება მას შემდეგ, არასწორია, — განაცხადა უსუფაშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, ელისო ჩაფიძის განცხადებით კი პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ეკონომიკის მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურა მართლაც მოიაზრება, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით კონსულტაციები ჯერჯერობით არ დაწყებულა.

— გიორგი კვირიკაშვილი გამორჩეული სახეა, თუმცა დღევანდელ მთავრობაში ბევრი ისეთი მინისტრია, რომლებიც პრემიერ-მინისტრის მოვალეობას თავისუფლად გაართმევენ თავს, მათ შორის ირაკლი ღარიბაშვილი, თუმცა კონსულტაციები ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით არ დაწყებულა, — აცხადებს ჩაფიძე.

მისივე თქმით, ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტს, სავარაუდოდ, მომავალ წელს დატოვებს.

შესაძლო გაპრემიერებაზე გუშინ გიორგი კვირიკაშვილსაც მოუწია კომენტარის გაკეთება. ეკონომიკის მინისტრი აცხადებს, რომ ამის თაობაზე არანაირი კონსულტაციები არ მიმდინარეობს.

პრემიერის შემცვლელის ვინაობა არც თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასთვის არის ცნობილი. ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ ასე აცხადებს. ამბობს, რომ ამ თემაზე კონსულტაციები ჯერ არ დაწყებულა. ივანიშვილის გადაწყვეტილებას ის დადებითად აფასებს. მისი თქმით, პრემიერის გადაწყვეტილება წასვლასთან დაკავშირებით ქვეყანაში თვისობრივად ახალ რეალობას შექმნის:

— პრემიერის განცხადება ჩემთვის და მინისტრთა კაბინეტის წევრებისთვის მოულოდნელი არ ყოფილა, პრემიერი ჯერ კიდევ არჩევნებამდე აცხადებდა, რომ ის პოლიტიკაში დიდხანს დარჩენას არ აპირებდა. მე ვთვლი, რომ ეს გადაწყვეტილება თვისობრივად ახალ რეალობას შექმნის ჩვენს ქვეყანაში, პოლიტიკაში, იქნება ბევრად უფრო კონკურენტუნარიანი გარემო, შემდეგ უკვე ადგილობრივი და სხვა არჩევნებისთვის მე მგონია, რომ მართლაც ახალი, საღი პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებას შეუწყობს ამით ხელს ბიძინა ივანიშვილი. გარდა ამისა, მე ძალიან მომწონს, რომ ის აპირებს საზოგადოებრივი მოღვაწეობა გააგრძელოს, დარწმუნებული ვარ, რომ არასამთავრობო საზოგადოებრივ სარბიელზე ძალიან მაღალი კონკურენტული გარემო შეიქმნება. მე ვთვლი, რომ ეს გადაწყვეტილება არის სახელმწიფოებრივი და ემსახურება საქართველოს გრძელვადიან ინტერესებს, — განაცხადა ალასანიამ.

საპარლამენტო უმცირესობის წევრის, ჩიორა თაქთაქიშვილის შეფასებით, კი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება სრულიად უპასუხისმგებლო საქციელია. დეპუტატის თქმით, პრემიერ-მინისტრი საკუთარი სახლიდან მართავს მინისტრთა კაბინეტს და საქართველოს მოქალაქეებს ეპისტოლარულ ჟანრში მიმართავს.

— ივანიშვილის პრემიერ-მინისტრობის პერიოდში ქართული ეკონომიკა დაღმავლობის გზაზეა, არ შესრულებულა არც ერთი დაპირება, რაც „ქართულ ოცნებას“ წინასაარჩევნოდ ჰქონდა, გაიზარდა კრიმინალი და სწორედ ამ სავალალო სიტუაციიდან დაღწევის მიზნით ის პასუხისმგებლობას იხსნის. მის მიერ გაკეთებული განცხადებები კი არის სრულიად უპასუხისმგებლო საქციელი. რაც შეეხება იმას, თუ ვინ იქნება მომავალი პრემიერ-მინისტრი, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ის იქნება მორიგი მარიონეტი, რომელიც ივანიშვილის განკარგულებებს შეასრულებს, — აცხადებს თაქთაქიშვილი.

მისგან განსხვავებით დეპუტატი კობა დავითაშვილი პრემიერის მიერ თანამდებობის დატოვების შესახებ გაკეთებულ განცხადებას მიესალმება.

— მივესალმები პრემიერის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ ის სამოქალაქო სექტორში აპირებს გადასვლას. ქვეყნის პირველი პირი საკუთარი ნებით რომ ტოვებს თანამდებობას, ეს პირველი პრეცედენტია საქართველოში და რა თქმა უნდა, მისასალმებელია. რაც შეეხება სასამართლო სისტემას, ვერ გავიზიარებ მოსაზრებას, რომ ის დამოუკიდებელია. სასამართლო სისტემა სერიოზულ რეფორმებს საჭიროებს და ის დღესაც „ნაციონალური მოძრაობის“ დაქვემდებარებაშია, — განაცხადა დავითაშვილმა.



პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, პრემიერის გადაწყვეტილების მთავარი მოტივაციაა ის, რომ ერთ ადამიანზე აღარ ვიყოთ დამოკიდებული და ყველამ შევძლოთ, ჩვენი წილი პასუხისმგებლობის აღება.

— პრემიერ-მინისტრის პოსტი ძალიან მნიშვნელოვანია და ამ თითოეულ პოსტზე თითოეული ფიგურა ძალიან მნიშვნელოვანია. ბიძინა ივანიშვილის დამსახურება ქართულ პოლიტიკურ პროცესებში და იმაში, რაც დღემდე ქვეყანაში მოხდა, ძალიან დიდია და დარწმუნებული ვარ, ეს იქნება ასევე ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი მომავალშიც. ბიძინა ივანიშვილი თავის ყველა დანაპირებს ასრულებს, მათ შორის აპირებს იმ დანაპირების შესრულებას, რომ 2-3 წელიწადში ის დატოვებდა პოლიტიკურ ცხოვრებას და ქვეყნის სამსახურს სხვა ფორმით გააგრძელებდა. კოალიცია ამისთვის მზად იყო, ბატონმა ბიძინამ ეს კოალიციის შექმნის საწყის ეტაპზე ბრძანა. განვლილ პერიოდში ის მუდმივად საუბრობდა ამაზე, ამიტომ მმართვის სისტემა, პოლიტიკური ცხოვრების ყველა ნიუანსი ამ საქმისთვის მზადაა და ყველა უნდა ვიყოთ მზად. ბატონი ბიძინას გადაწყვეტილების მთავარი მოტივაციაა ის, რომ ერთ ადამიანზე აღარ ვიყოთ დამოკიდებული და ყველამ შევძლოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობის აღება და ქვეყნის სამსახურში ყოფნა სხვისი იმედზე ყოფნის გარეშე შევძლოთ. ამიტომ ეს ყველაფერი დაგეგმილი პროცესი იყო, გვიხარია-არ გვიხარია, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, უნდა შევეგუოთ ისეთ ცხოვრებას, როდესაც რაღაცები ხდება და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ, ივანიშვილი მზადაა და კოალიცია მზადაა, — განაცხადა უსუფაშვილმა.

ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივნის, გიორგი გუგავას განცხადებით, ბიძინა ივანიშვილის წასვლა უკანა კარიდან გაპარვას ნიშნავს. ამასთან, გუგავა პრემიერს ურჩევს, რომ „კორუმპირებული“ პარლამენტიც თან გაიყოლოს.

— როდესაც ქვეყანა უკიდურეს გაჭირვებაშია, როდესაც უსამართლობა, უმუშევრობა და უსახსრობა ისევ თრგუნავს ჩვენს მოსახლეობას, როდესაც არც ერთი წინასაარჩევნო დაპირება არ შესრულებულა, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილება უკანა კარიდან გაპარვას ნიშნავს. სანაცვლოდ კი, გვიტოვებს ყველაზე ანტიეროვნულ, კორუმპირებულ პარლამენტსა და მთავრობას, ასევე, გზას უხსნის კოჰაბიტირებულ ნაცმოძრაობას, უკან, ხელისუფლებაში დასაბრუნებლად. მივმართავ გასაქცევად გამზადებულ პრემიერ-მინისტრს, თან გაიყოლოს მის მიერ მოყვანილი უსაქმური პარლამენტი და შესაბამისად, მთავრობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხის მხარდაჭერით, ამას პრეზიდენტის რანგში შალვა ნათელაშვილი გააკეთებს, — ნათქვამია გიორგი გუგავას განცხადებაში.

# სააკაშვილი მყინვარწვერის დალაშქვრას აპირებს

## რატომ გავრცელდა ჭორი საზღვრის გადმოწევის შესახებ

შორენა მარსაგიშვილი



1 სექტემბრის საღამოს სოციალურ ქსელებში დიდი წივილ-კივილი ატყდა. ახალგაზრდა მთამსვლელმა გიორგი ხუციშვილმა გაავრცელა ინფორმაცია, რუსებმა ყაზბეგში საზღვარი გადმოწიესო. ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ამ ახალგაზრდას არც გადმოწეული საზღვარი უნახავს და არც საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსული რუსი მესაზღვრეებისთვის მოუკრავს თვალი. საზღვრის გადმოწევის ფაქტი უარყო შინაგან საქმეთა სამინისტრომაც. ამის მიუხედავად ერში წივილ-კივილი დიდხანს არ ჩამცხრალა.

ეს ფაქტი განსაკუთრებით ნაცმოძმა გააპროტესტა. იმ ნაცმოძმა, რომელიც დღემდე არ აღიარებს, რომ 2010 წელს რუსებმა მამისონზე საკმაოდ დიდი ტერიტორია წაიღეს.

სამაგიეროდ ახლა ატეხეს განგაში, მაგრამ მალევე დაოკდნენ. დაოკდნენ იმიტომ, რომ მთამსვლელთა მეორე ჯგუფმა კატეგორიულად უარყო საზღვრის გადმოწევის ფაქტი. მერე კი ისიც გაირკვა, რომ ავი ამბის მაცნე გიორგი ხუციშვილი საერთოდ არ ყოფილა საზღვარზე და ეს ამბავი მეგობრებისგან გაიგო. ახლა ხუციშვილი შეწუხებულია და ამ ფაქტს გაუგებრობას უწოდებს.

— რუსებმა ყაზბეგის მყინვარიდან მაილის პლატომდე გადასასვლელი გზა და მთლიანად მაილის პლატო თავიანთკენ მიიქციეს. ამ ყველაფრის შედეგი ის არის, რომ მყინვარწვერზე საქართველოს მხრიდან პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა ასვლა.!, — ასეთი პოსტი დაწერა 1 სექტემბერს ხუციშვილმა.

„ახალი თაობა“ ყაზბეგში მყოფ მესაზღვრეებს დაუკავშირდა. მათ კატეგორიულად უარყვეს საზღვრის გადმოწევის ფაქტი.

— რუსები დგანან იქ, სადაც აქამდე იყვნენ. არანაირი საზღვრის დარღვევის ფაქტი არ ფიქსირდება. ის კი არა, რუსები ნეიტრალურ ზონაშიც არ გადმოდიან, პატიოსნად იქცევიან, — განუცხადეს მესაზღვრეებმა „ახალ თაობას“.

საქართველოს თურქეთის გარდა არც ერთ მეზობელ ქვეყანასთან საზღვარი დადგენილი არა აქვს. ამ მხრივ გამონაკლისი არც რუსეთია. სადავო მონაკვეთი დარიალის ხეობაშია. მას არც ერთი მხარე არ აკონტროლებს და საზღვრების დადგენამდე ის ნეიტრალურ ზონად ითვლება. ამ ზონის გაჩენა რაღაცით მიხეილ სააკაშვილთან არის დაკავშირებული და ამაზე ოდნავ მოგვიანებით მოგითხრობთ.

საქართველოს მთამსველთა ფედერაციის ხელმძღვანელი შოთა მირიანაშვილი „ნეტგაზეთთან“ ამბობს, რომ საქართველო-რუსეთის ამჟამინდელი საზღვარი ზუსტად ისეთივეა, როგორიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იყო.

— არანაირი საზღვარი არ გადმოუწევიათ, უბრალოდ, იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირი იყო და ამ საზღვრებს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ერთ ქვეყანაში ვცხოვრობდით და საზღვრები სიმბოლურად იყო დატანილი. იმის შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, დღემდე არავინ არ იზრუნა, დღემდე დაუდგენელია, სად გადის ზუსტად საზღვარი. თუ დავეყრდნობით, როგორც გეოგრაფიული, ასევე მსხვილმასშტაბიანი რუკები ჰქონდა საბჭოთა კავშირის გენერალურ შტაბს, იმაზე დატანილი საზღვარი დღემდე ზუსტად ემთხვევა ინტერნეტში არსებულ რუკებზე საზღვარს. ამ საზღვრის მიხედვით, მყინვარწვერის დასავლეთი და ჩრდილოეთი მხარე მთლიანად არის რუსეთის ფედერაციის საზღვრებში, ჩრდილოეთ ოსეთის ფარგლებში, — აღნიშნავს შოთა მირიანაშვილი.

მისივე განმარტებით, საქართველოს ტერიტორიიდან მყინვარწვერამდე ასასვლელი ორივე კლასიკური გზა გადის რუსეთის ტერიტორიაზე, თუმცა აქამდე მთამსვლელებს პრობლემა იმიტომ არ ჰქონდათ, რომ მათ რუსეთის ტერიტორიის გავლით მყინვარწვერზე ასვლას ქართველი მესაზღვრეები არ უკრძალავდნენ. ამჯერად კი ისინი ქართველმა მესაზღვრეებმა არ გაატარეს.

მირიანაშვილი ამბობს, რომ წელს ქართული ალპინიზმის იუბილეა და მასობრივად სურდათ მყინვარწვერის დალაშქვრა, ამიტომაც ნებართვისთვის საზღვრის დაცვის დეპარტამენტს მიმართეს, თუმცა მიღებული ნებართვით საგუშაგოზე არ გაატარეს, რადგან ნებართვაში მითითებული იყო, რომ ამჟამად მოქმედი კანონით, მათ საზღვართან 500 მეტრის მანძილზე მიახლოების უფლება არა აქვთ.

შოთა მირიანაშვილის განმარტებით, ამჟამად არსებობს რამდენიმე მარშრუტი გერგეთიდან მყინვარწვერამდე, რუსეთის ტერიტორიის გავლის გარეშე, თუმცა ეს მარშრუტები რთულია და მხოლოდ პროფესიონალ ალპინისტებს შეუძლიათ მისით სარგებლობა.

— ეს მარშრუტი არ იძლევა შესაძლებლობას, რომ მყინვარწვერი გახდეს მეორე მექა სამთო ტურისტებისთვის, — ამბობს ცნობილი ალპინისტი.

მთამსვლელი ირაკლი გუჯაბიძე ამბობს, რომ მთამსვლელების უმრავლესობა სწორედ იმ მარშრუტებით სარგებლობდა, რომლებიც რუსეთის ტერიტორიაზე გადის.

საზღვრის გადმოწევის ფაქტი არა, მაგრამ სასაზღვრო კონტროლი მართლა გამკაცრებულია. ჩვენმა მესაზღვრეებმა კონტროლი საპატიო მიზეზით გაამკაცრეს. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ყაზბეგში იმყოფება და მყინვარწვერის დასალაშქრად მიდის.

— საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა ინტერნეტ სივრცეში გამოქვეყნებულ ინფორმაციას, სადაც ეწერა, რომ რუსეთის საზღვარი ყაზბეგის რაიონში გადმოიწია. მოლაშქრეთა ეროვნული ფედერაცია, მოგახსენებთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს. მყინვარწვერის დასალაშქრად იმყოფება საქართველოს პრეზიდენტი, რის გამოც უბრალოდ გაძლიერებულია უსაფრთხოების ზომები, — ასეთი განცხადება გაავრცელა მოლაშქრეთა ფედერაციამ.

საზღვრის გადმოწევის ფაქტი გუშინ მცხეთა-მთიანეთში პრეზიდენტის რწმუნებულმა ხათუნა ოჩიაურმაც უარყო. მისი თქმით, მხოლოდ კონტროლია გაძლიერებული და ეს პრეზიდენტის ლაშქრობას უკავშირდება.

პრეზიდენტი და სხვა მოლაშქრენი გუშინ მთელი დღის მანძილზე მეტეოსადგურზე იმყოფებოდნენ და ამინდის გამოსვლას ელოდნენ. ამინდი კი ყაზბეგში საშინელი იყო. ეტყობა ბუნებას დიდად არ სურს, სააკაშვილმა მყინვარზე ფეხი დაადგას. ისე მეტეოსადგურიდან მყინვარამდე მაინცდამაინც შორი არაა.

მეტეოსადგური თბილისის მერის გიგი უგულავას ძმას, ირაკლი უგულავას ეკუთვნის. ეს ის ირაკლი უგულავაა, რომელსაც სააკაშვილმა შარშან 1 ლარად აჩუქა სოფელ გერგეტთან მდებარე მთა. აქ საკემპინგე ადგილის მოწყობა იგეგმება. თუმცა ადგილობრივები პირობას იძლევიან, რომ ამ მთას უგულავას არ დაუთმობენ.

საქართველოს პრეზიდენტი ყაზბეგის რაიონს დიდად არ სწყალობდა. არც აქ უყვართ მაინცდამაინც სააკაშვილი. მან აქ ვერც ერთი არჩევნები ვერ მოიგო. ყაზბეგი ერთადერთი ადგილი იყო, სადაც სააკაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნები 2004 წელს წააგო.

შარშან, საარჩევნოდ სააკაშვილი რამდენჯერმე ჩავიდა ყაზბეგში. ერთ-ერთ შეხვედრაზე ადგილობრივები გააფრთხილა, თუ ახლაც წავა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# პაატა ზაქარეიშვილი: „საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ცალსახად სამშვიდობოა“

შორენა გონგლაძე



სასტუმრო „რედისონ-ში“'ამბასადორიალის მეორე დღე ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების მიმოხილვასა და სამართლებრივი რეფორმების საკითხების განხილვას დაეთმო. როგორც ამბასადორიალის დაწყებამდე საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, მათ უნდათ, მოიცვან ყველა ის თემა, რომელიც საინტერესოა უცხოელი პარტნიორებისთვის. „ამიტომ გვინდა, ჩვენს წარმომადგენლებს ჰქონდეთ საშუალება, უშუალოდ შეხვდნენ ყველა მინისტრს და მათგან გაიგონ ინფორმაცია, ამა თუ იმ სფეროში რა კეთდება, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

მაია ფანჯიკიძის განცხადებით, სიახლეა ისიც, რომ წლევანდელ ამბასადორიალზე შეხვედრა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან გაიმართება და განიხილება ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები.

ამბასადორიალის მონაწილეებს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა და იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მიმართეს. როგორც ჟურნალისტებთან საუბარში პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, პარლამენტი ვალდებულია, მჭიდრო კავშირი ჰქონდეს ქვეყნის დიპლომატებთან. როგორც დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, პარლამენტი მუდმივად არის ჩართული ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებში და, აქედან გამომდინარე, აუცილებელია მჭიდრო კონტაქტი პარლამენტსა და დიპლომატიურ კორპუსს შორის. „მე პატივცემულ ელჩებს კიდევ ერთხელ გავაცანი პარლამენტის მუშაობის პრიორიტეტები, ვისაუბრეთ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე, ასევე საკანონმდებლო ინიციატივებზე, რომელიც პარლამენტშია. მათ შორის დიდი ინტერესი გამოიწვია საკონსტიტუციო ცვლილებების თემატიკამ, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, ელჩებთან შეხვედრა უმნიშვნელოვანესია. მისივე თქმით, ამბასადორიალი არის ერთადერთი ფორმატი, რომლის ფარგლებშიც მინისტრებს ეძლევათ საშუალება, თავიანთი საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე მოახსენონ იმ ადამიანებს, რომლებიც წარგზავნილი არიან საზღვარგარეთ და ქვეყნის იმიჯს, სახელსა და ეროვნულ ინტერესს იცავენ. „ჩვენ ვისაუბრეთ იუსტიციის სამინისტროს რამდენიმე მიმართულებაზე, რომლებზეც ვმუშაობთ, იქნება ეს საარჩევნო სიის ფორმირება, საკანონმდებლო ცვლილებები, მიწის კოდექსი, შრომის კოდექსი, სასამართლო რეფორმა და ბევრი სხვა სიახლე, რომელიც ჩვენ შევთავაზეთ მოსახლეობას, რათა დავტოვოთ სამართლიანი სამართლებრივი სისტემა, რომლის შექმნის დავალებაც მე მივიღე ბიძინა ივანიშვილისგან“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

ამბასადორიალზე ასევე მოხსენებით წარდგა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი. მოხსენება ეხებოდა'კონფლიქტების მოგვარებასა და სამშვიდობო პოლიტიკას. ზაქარეიშვილმა ისაუბრა კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებით საქართველოს მთავრობის ხედვებზე, პოლიტიკაზე, უკვე გადადგმულ ნაბიჯებსა და არსებულ გამოწვევებზე. პაატა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ცალსახად სამშვიდობოა. მან, ასევე, ყურადღება გაამახვილა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მიმართ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ არაღიარების პოლიტიკის განხორციელებისა და აფხაზ და ოს საზოგადოებებთან პირდაპირი კომუნიკაციის მნიშვნელობაზე. არსებულ გამოწვევებს შორის კი სახელმწიფო მინისტრმა გამყოფ ხაზებზე რუსი სამხედროების მიერ მავთულხლართების გავლება, გადაადგილების შეზღუდვა, კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების კუთხით მდგომარეობის გაუარესება და აფხაზი და ოსი საზოგადოებების თვითიზოლაციის პროცესი დაასახელა. მოხსენების შემდეგ პაატა ზაქარეიშვილმა ელჩების კითხვებს გასცა პასუხი.

– ვისაუბრეთ უკვე გადადგმული ნაბიჯების, კონტაქტების, პერსპექტივებისა და გეგმების შესახებ. ყურადღება გამახვილებული იყო არაღიარების პოლიტიკაზე. ელჩებთან ამ თემის განხილვა აუცილებელია, რამდენადაც ისინი საქართველოს წარმოადგენენ საზღვარგარეთ და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არაღიარების პოლიტიკა ჩვენი მეგობარი სახელმწიფოების მხრიდან მტკიცედ იყოს დაცული და მხარდაჭერილი. რა თქმა უნდა, ასევე, აღინიშნა, რომ ყველა ჩვენი ნაბიჯი მიმართული უნდა იყოს ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანებისკენ,'– განაცხადა ზაქარეიშვილმა.

# ჯანდაცვისთვის არავის სცალია

შორენა გონგლაძე

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ ხელისუფლებას ჰოსპიტალურ სექტორში შექმნილი მდგომარეობით დაინტერესებისკენ მოუწოდებს. ამის შესახებ „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთმა ლიდერმა მაგდა ანიკაშვილმა განაცხადა.

ანიკაშვილის განცხადებით, ჰოსპიტალურ სექტორში სრული განუკითხაობაა შექმნილი. ანიკაშვილი ხელისუფლებას მოუწოდებს, აღნიშნული პრობლემით დაინტერესდეს და მისი მოგვარების გზებზე იზრუნოს.

– ჰოსპიტალურ სექტორში სრული განუკითხაობაა შექმნილი. იაშვილის კლინიკაში მიმდინარე პროცესი ამის ნათელი მაგალითია. ეს ეხება კლინიკის გასხვისების საკითხს. აქ შექმნილია სკანდალური სიტუაცია, რომელიც სწრაფ რეაგირებას ითხოვს. ჩვენ ვხედავთ, რომ აქ დღეს მნიშვნელოვანია არა მიმდინარე პროცესი, არამედ ბიზნესინტერესები. დღეს აქ ხელისუფლების პასიურობა აღიქმება მავნე ტენდენციად. ამ საავადმყოფოს ირგვლივ არის რამდენიმე შეკითხვა, რომელსაც უნდა გაეცეს პასუხი და ეს ეხება მისი გასხვისების საკითხს. კომპანია, რომელმაც გარკვეული ვალდებულებების სანაცვლოდ შეიძინა ეს კლინიკა, თავის მოვალეობებს არ ასრულებს. ამ შემთხვევაში კი შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მისი გასხვისების საკითხი, – აცხადებს ანიკაშვილი და ხელისუფლებას რეაგირებისკენ მოუწოდებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით ქრისტიან-დემოკრატები სპეციალურ განცხადებასაც ავრცელებენ, სადაც ნათქვამია, რომ იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში განვითარებული მოვლენები მოწმობს, რომ გრძელდება პრივატიზაციის განუკითხავი პროცესი, რომელიც დაიწყო წინა ხელისუფლების ასი ახალი საავადმყოფოს პროექტით და რასაც უკვე შეეწირა ასობით კვალიფიციური ექიმის სამუშაო ადგილი და შეილახა სამედიცინო საზოგადოების პროფესიული ღირსება. „დღევანდელი რეალობა ისაა, რომ ჰოსპიტალურ სექტორში წამყვანი კვლავ არის საეჭვო რეპუტაციის მქონე კომპანიებისა თუ ფიზიკური პირების ბიზნესინტერესები და არა ექიმისა და პაციენტის უფლებები. ხელისუფლების უმოქმედობა კი შეიძლება შეფასდეს, როგორც ქართული ჯანდაცვისთვის დიდი ზიანის მომტანი ამ ტენდენციის გაგრძელება და ირიბი ხელშეწყობა. ხელისუფლების შესაბამისმა უწყებებმა, პირველ რიგში, უნდა გაარკვიონ, ჰქონდა თუ არა ქართულ მხარეს აღნიშნული კლინიკების გასხვისების უფლება, მით უმეტეს, როდესაც საუბარია შეუსრულებელ ვალდებულებებზე და, საერთოდ, როგორ მოხდა, რომ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა კლინიკა ერთი პატარა ჯგუფის ხელში აღმოჩნდა,'– ნათქვამია განცხადებაში.

# „პრემიერმა საქართველო მოატყუა და ახლა იპარება“

შორენა გონგლაძე

თბილისში, სასტუმრო „რედისონის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ბანკებითა და კერძო იპოთეკით დაზარალებული მოქალაქეების საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილსა და მთავრობის წევრებთან შეხვედრას ითხოვენ.

როგორც ცნობილია, სწორედ „რედისონი“ მასპინძლობს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელთა შეხვედრა-ამბასადორიალს, რომელშიც აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

„აიკრძალოს კანონით კერძო მევახშეობა“, „შეჩერდეს ვანდალური გამოსახლება“, „არა უსახლკარობას“, „ბანკებითა და კერძო იპოთეკით დაზარალებულები ვითხოვთ გრძელვადიან, დაბალპროცენტიან სესხს“, – ამ შინაარსის ტრანსფარანტებითა და შეძახილებით აქციის მონაწილეები ხელისუფლების წარმომადგენლების ყურადღების მიპყრობას ცდილობდნენ.

როგორც ჟურნალისტებს აქციის ერთ-ერთმა მონაწილე ლია ნიკურაძემ განუცხადა, დაზარალებული მოქალაქეები გამოსახლების პროცესის შეჩერებასა და დაბალპროცენტიან, გრძელვადიან სესხს ითხოვენ, რათა ვალები ნელ-ნელა დაფარონ.

როგორც აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, თითოეულ დაზარალებულ მოქალაქეს საკუთარი სახლი უნდა დაუბრუნდეს. სიტყვით გამოსვლისას მათ პრემიერ-მინისტრი ამომრჩევლების მოტყუებასა და მათი პრობლემების მოუგვარებლობაში დაადანაშაულეს. „პრემიერმა საქართველო მოატყუა და ახლა იპარება. ვერსად გაიპარებით, ბატონო ბიძინა!“ – აღნიშნა ერთ-ერთმა გამომსვლელმა. აქციის მონაწილეთა თქმით, ანალოგიური მოთხოვნით საპროტესტო აქციას ისინი პარლამენტის ძველ შენობასთანაც გამართავენ.

აქციის მონაწილეების მოთხოვნას საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური გამოეხმაურა. ხადურის განცხადებით, საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს, რომ მთავრობამ ვინმეს კრედიტი მისცეს.

– უკანონოდ კეთილი საქმეები არ კეთდება. არსებობს აღსრულების სამსახური და მას აქვს უფლება, 6 თვით გადაავადოს ყოველგვარი ზედმეტი საკანონმდებლო ცვლილებების გარეშე აღსრულების პროცესი. მთავარია, თუ რამდენად საკმარისი იქნება ეს პრობლემის მოსაგვარებლად, რომელსაც 15-20-წლიანი მძიმე ისტორია აქვს. ეს არ არის მხოლოდ ერთი მხარის პრობლემა და, ცხადია, ორივე მხარესთან ერთად უნდა განვიხილოთ, – განაცხადა ხადურმა.

ფინანსთა მინისტრი ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატ დავით ბაქრაძის მიერ გაკეთებულ განცხადებასაც გამოეხმაურა.

– ბატონ ბაქრაძეს მინდა ვუთხრა, რომ გაერკვეს ტერმინებში, მათ შორის, ეკონომიკურშიც და მეორე, თუ ეკონომიკური ამნისტია უნდოდა, იგი ოთხი წელი პარლამენტის თავმჯდომარე იყო, – განაცხადა ხადურმა.

შეგახსენებთ, რომ ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატ დავით ბაქრაძის შეფასებით, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის პოსტიდან წასვლა საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება.

– საქართველოს ეკონომიკა იმყოფება რთულ მდგომარეობაში. ამ ყველაფერს აღრმავებს ის გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ პრემიერისგან, ვინაიდან მისი წასვლა იქნება ის გაურკვევლობა, რომელიც ბიზნესმენისა თუ ინვესტორისთვის ნიშნავს, მინიმუმ, რამდენიმეთვიან პაუზას, სანამ ის გადაწყვეტს საქართველოს ეკონომიკაში თანხის ჩადებას. ამიტომ სიტუაცია არის მნიშვნელოვანი, ვინაიდან ამ ყველაფრის უკან დგას დაკარგული სამსახურები. ადამიანები მეტ გაჭირვებაში იცხოვრებენ. ვთავაზობ ხელისუფლებას, შევწყვიტოთ ყოველგვარი კამათი და ერთად გადავდგათ ნაბიჯები, რომელიც ეკონომიკის ფეხზე დაყენებაში დაგვეხმარება, – განაცხადა ბაქრაძემ.

ნაციონალური მოძრაობის პრეზიდენტობის კანდიდატი ხელისუფლებას გადასახადების შემცირების, ახალი ეკონომიკური რეგულაციების შემოღებაზე ხუთწლიანი მორატორიუმის, ეკონომიკური ამნისტიისა და ბიზნესის სრული დეკრიმინალიზაციის ინიციატივით მიმართავს.

# სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაზე უარი უთხრეს

შორენა გონგლაძე

საპრეზიდენტო კანდიდატების წევრთა სიას, დიდი სურვილის მიუხედავად, „საქართველოს გზის“ ლიდერი სალომე ზურაბიშვილი ვეღარ შეუერთდება. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაზე უარი უთხრა. აღნიშნულთან დაკავშირებით ცესკო-მ განცხადება გაავრცელა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

– საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით, საინიციატივო ჯგუფსა და მის მიერ წარდგენილ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს უარი ეთქვა საარჩევნო რეგისტრაციაზე.

უარის თქმის საფუძველია კანონმდებლობით განსაზღვრული შემდეგი დებულებები:

ა) საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-2 მუხლის „ო“ პუნქტის თანახმად, პასიური საარჩევნო უფლება არის საქართველოს მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და სახელმწიფო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად.

ბ) ამავე კანონის მე-3 მუხლის „ა.ბ“ პუნქტის თანახმად, „პასიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომლებიც აკმაყოფილებენ კოდექსით დადგენილ პირობებს, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით შეზღუდული აქვთ პასიური საარჩევნო უფლება“, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის 11 პუნქტის თანახმად, „საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა“.

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაზე ანალოგიური მოტივით უარის თქმის პირველი შემთხვევა. საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისთვის უარი ეთქვა ორ კანდიდატს. ერთი შემთხვევა გასაჩივრდა სასამართლოში და სასამართლომ ძალაში დატოვა ცესკო-ს თავმჯდომარის გადაწყვეტილება, – ნათქვამია ცესკო-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„საქართველოს გზის“ ლიდერი ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას ბრიფინგით გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, მას საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირებაზე უარი ეთქვა, სასამართლოში გაასაჩივრებს.

როგორც ზურაბიშვილმა ბრიფინგზე განაცხადა, სარჩელს მისი იურისტები სასამართლოში ხვალ შეიტანენ. მისივე თქმით, ეს გადაწყვეტილება უკანონო იყო.

– ნახევარი საათის წინ მივიღე განკარგულება ცესკოსგან, რომლის მიხედვითაც, უარს მეუბნებიან 29-ე მუხლის საფუძველზე საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირებაზე. უსაფუძვლო და უკანონოა ცესკოს ეს გადაწყვეტილება და, შესაბამისად, ამას აუცილებლად გავასაჩივრებთ. სარჩელი შეგვაქვს ხვალვე სასამართლოში. თუ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, ახლო მომავალში ვნახავთ, თუ ვის აწყობდა ეს. კანონი ჩვენ მხარესაა და გავიმარჯვებთ,'– განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა. მისივე თქმით, ამ საკითხს ელჩებთან შეხვედრაზეც დააყენებს. „არსებული კონსტიტუციით, სრული უფლება მაქვს, ვიყო საპრეზიდენტო კანდიდატი, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

# სააკაშვილი მყინვარწვერის დალაშქვრას აპირებს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

გებთ ყაზბეგში არჩევნებს, როგორც რაიონს საერთოდ დაგკარგავთო. არჩევნებში ნაციონალები სასტიკად დამარცხდნენ. ხალხს სააკაშვილის რისხვის დიდად არ შეშინებია.

აქაურობა კი ერთხელ უკვე დააყენა საფრთხის წინაშე. სწორედ მაშინ მოხდა საზღვრის გადმოწევა. ალბათ გახსოვთ სპირტიანობის ბუმი საქართველოში. მაშინ ქართველებმა და რუსებმა დიდი ფული აკეთეს ერთად. სპირტის ბიზნესში დღევანდელი ნაციონალები რუს გენერლებთან ერთად იყვნენ ჩართული. მოზდოკის სამხედრო ბაზაზე მოღვაწე გენერლების დახმარებით გადიოდა რუსეთში სპირტი.

ყველაფერი კარგად იყო, ვიდრე ერთ დღეს რუსებმა არ აკრძალეს სპირტის შეტანა. სპირტი მაინც შედიოდა, ამაში ჩვენები საკმაოდ დიდ ფულს იხდიდნენ. რუსებმა რამდენჯერმე გააჩერეს სპირტით დატვირთული კოლონები დარიალის ხეობაში. 1997 წლის დეკემბერში მოქკავშირმა გადაწყვიტა, რუსეთის თავხედობის საწინააღმდეგოდ აქცია მოეწყო. აქციის მოსაწყობად მოქკავშირი დარიალის ხეობაში წავიდა. იქ რამდენიმე დღე-ღამეს დარჩნენ. სააკაშვილი საზღვარზე არ რჩებოდა და ღამეს ყაზბეგის მაშინდელი მაჟორიტარის ოჯახში ათენებდა.

დეკემბრის ცივ დღეებში აქციის მონაწილეები სასმელს სვამდნენ და ცეკვა-თამაშით ერთობოდნენ. იმ ავადსახსენებელ დღესაც გამართეს ტაშ-ფანდური. ის-ის იყო ცანგალა და გოგონა შეუბერეს, რომ რუსული ჯავშანმანქანა გამოჩნდა. სააკაშვილმა და მისმა მოქკავშირმა წივილ-კივილით დატოვა იქაურობა.

იქვე მყოფმა შექეიფიანებულმა ადგილობრივებმა რუსების შემოჭრა შეურაცხყოფად აღიქვეს და სერიოზული ჩხუბი ატყდა. საქმეში მაშინ ალექსანდრე ძასოხოვი ჩაერია და მან განმუხტა ვითარება.

რუსებმა უკან აღარ დაიხიეს, ტერიტორია არც ქართველმა მესაზღვრეებმა დათმეს. შედგა მოლაპარაკება და ერთკილომეტრიანი ზოლი ნეიტრალურ ტერიტორიად გამოცხადდა.

და კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ 1 სექტემბერს ატეხილ განგაშს. ბუნებრივია, იბადება კითხვა, რატომ გახდა საჭირო ამ თემაზე განგაშის ატეხვა. არის საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს სააკაშვილის გაპიარებისთვის გაკეთდა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, პრეზიდენტი რუსებს არ შეუშინდა და მყინვარწვერზე ავიდა.

ისე, რა საინტერესოა, რას მოჰყვება ოქედან დაბრუნებული პრეზიდენტი. 2 დამჯდარ ზვიგენს ვერსად წააწყდება. აი, 2 ჯიხვი ან არჩვი კი შეიძლება სადმე შეხვდეს. სხვათა შორის, არც ის იქნებოდა ცუდი, სააკაშვილი თავად თუ აიკიდებდა ზურგჩანთას, თუნდაც ცარიელს. უხერხულია, მოლაშქრეს ხელში წლის მთავრობა რომ არ უკავია. სააკაშვილი ტობავარჩხილაზე სწორედ ასე ავიდა.

# რატომ გაყიდეს იაშვილის კლინიკა, „როგორც ლუდხანა“?

მერი ნამორაძე

**მეოცნებეებმა წინასაარჩევნო დაპირება შეასრულეს – ასაკით პენსია უტოლდება საარსებო მინიმუმს და სექტემბრიდან 150 ლარი ხდება. ოპონენტები, რომლებიც ახლანდელ ხელისუფლებას უკიჟინებენ, რეალური საარსებო მინიმუმს დაუახლოვოს პენსია და ეს მინიმუმიც რეალურად დათვალოს, ამომრჩევლის მოტყუებაზე საუბრობენ. სოციალური დაცვის მინისტრს ასეთი ოპონენტებისთვის მარტივი პასუხი აქვს – 9 წელი იყვნენ ხელისუფლებაში და, წესით, უნდა გაეზარდათ საარსებო მინიმუმიც და მინიმალური პენსიაც. სერგეენკო პენსიონერებს იმით ამშვიდებს, რომ შემდეგ ეტაპზე უკვე საარსებო მინიმუმის გადახედვა დაიწყება და პენსიებიც სამომავლოდ კიდევ გაიზრდება.**

საერთო ჯამში პენსიის მატება შეეხო 1 272 250 პირს: ასაკით პენსიონერთათვის სახელმწიფო პენსიის ფულადი ოდენობა 125 ლარიდან იზრდება 150 ლარამდე, პენსიის მატება ეხება 681 392 პენსიონერს. მკვეთრად გამოხატული (ყოფილი პირველი ჯგუფის ინვალიდების) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსია 125-დან იზრდება 150 ლარამდე. მატება შეეხო 21 892 პირს; მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების პირთა პენსია 70 ლარიდან გაიზრდება 100 ლარამდე. მატება შეეხო 12 921 პირს; მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრების სოციალური პაკეტი 55 ლარიდან გაიზრდება 100 ლარამდე 26 700 პირისათვის; პოლიტრეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის სოციალური პაკეტი 62 ლარიდან იზრდება 107 ლარამდე და მატება შეეხო 1350 პირს.

სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია 272 ლარიდან გაიზრდება 292 ლარამდე, ეს მატება შეეხება 17 121 პირს. შარშანდელი წლის სექტემბრის მდგომარეობით აღნიშნული სოციალური გასაცემლების თანხა ყოველთვიურად შეადგენდა 110 992 825 ლარს. წლევანდელი წლის სექტემბრიდან გასაცემლების თანხა ყოველთვიურად შეადგენს დაახლოებით 145 529 303 ლარს.

გუშინ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე მინისტრმა ჟურნალისტების ინტერესი იაშვილის კლინიკაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით სრულად დააკმაყოფილა და აღნიშნა, რომ ინციდენტი, რომელიც კლინიკაში განვითარდა დამახასიათებელი ნიშანია ძირითადი პროცესებისა, რაც დიდ კლინიკებთან მიმართებაში ვითარდებოდა ქვეყანაში:

– არსებობს კანონი და არსებობს სამართალი, რომელიც ყოველთვის თანხვედრაში არ არის. ის, რაც კანონიერია, ზოგჯერ, სამწუხაროდ, სამართლიანი არ არის. ამ შემთხვევაში ქონება რჩება კერძო საკუთრებად და მის მეპატრონეს შეუძლია გაასხვისოს ისე, რომ სახელმწიფოს ამის შესახებ არ შეეკითხოს. კანონის მხრივ ვერანაირად შეედავები. თუმცა, არსებობს სახელმწიფო ინტერესები და მთავრობა არც ერთ სახელმწიფო ინტერესს არ დათმობს არანაირი კერძო პირის თუ კერძო კომპანიის სასარგებლოდ. რა მოხდა ამ შემთხვევაში? ეს არ არის ერთი საავადმყოფო, ეს არის დიდი გაერთიანება, ჰოლდინგი, რომელიც ბავშვთა სერვისების მომწოდებელია თითქმის 90 პროცენტით ქვეყნის მასშტაბით. მმართველები, ვინც აქამდე იყვნენ, მართავდნენ ისე, როგორც მართავდნენ – არ იყო ეს იდეალური მმართველობა, მაგრამ მნიშვნელოვნად არ ჩამორჩებოდა სხვა რომელიმე კლინიკებს. ბოლო პერიოდში რაც იქ განვითარდა, იმდენად ალოგიკურია, რომ ასეთი რაღაც შეიძლება გააკეთოს, მაპატიეთ და, შეურაცხადმა ადამიანმა– ამხელა ინფრასტრუქტურა, რომელიც ჩვენი შვილების, ბავშვების ჯანმრთელობას ეხება, გაყიდა, როგორც ლუდხანა, არავის არაფერი ჰკითხა. შეურაცხადი და ალოგიკური იმიტომ ვახსენე, რომ ყოველთვის, მესაკუთრე თუ ახალი ინვესტორი, მით უმეტეს ჩამოსული ინვესტორი სანთლით ეძებენ და უამრავ ლობისტურ მეთოდებს იყენებენ, რომ მათი აქტივობები, თანხვედრაში და კოორდინირებული იყოს სახელმწიფოსთან. იმდენად გაუგებარი იყო მათი ეს საქციელი, რომ ამ ადამიანებმა საქმეს ძალიან ავნეს და არ დაფიქრდნენ შედეგებზე. რა შეიძლება იყოს შედეგი? სახელმწიფოს აქვს ის ბერკეტები, რომლის გამოყენება ახლა საჭირო არ არის, თუნდაც ის, რაც არის კანონში სახელმწიფო სტრატეგიული ინტერესების შესახებ და სტრატეგიული ობიექტების შესახებ, რიდესაც სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს ეს კანონი, როცა მისი მოქალაქეების ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრება. იმედია, რომ არ გამოვიყენებთ და რეალური მოლაპარაკებით მივიღებთ შედეგს, თუმცა ეს პატივცემული თურქი თავდაპირველად გამოუცდელი ადამიანი მეგონა, რომელმაც არ იცის სისტემის მართვა. იქ ისეთი ნიშნები გამოიკვეთა და ერთ რამეში ვეთანხმები მას – ეს პროცესები მართული ჩანს. საქართველოში არ ვიცი, რა სიმაღლეზეა აყვანილი რელიგიური ტოლერანტობა. ეს პროცესები ჰგავს ერთმანეთს წარმოშობით – ჭელის მინარეთის ამბავი და აქ ასეთ გაუაზრებელი, ღირსების და მრწამსის შეურაცხმყოფელი ქცევები. შესაბამისად, ვეთანხმები, რომ მართულია და ამაზე მარტო ჩვენ არ ვმუშაობთ, სხვა კომპეტენტური უწყებებიც არიან ჩართულნი, – განაცხადა მინისტრმა.



გავრცელებული ინფორმაციით, იაშვილის კლინიკის თანამშრომლები აღარ აპირებდნენ ახალი მმართველის შეშვებას კლინიკაში. მინისტრმა ამ კუთხით სოლიდარობა გამოუცხადა კოლეგებს და მიიჩნია, რომ ატაკმა იქ მოღვაწეობა აღარ უნდა გააგრძელოს. თუნდაც იმიტომ, რომ შექმნილი მდგომარეობა პაციენტების ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს, იმდენად დემორალიზებული და არაშრომისუნარიანია მთელი სამედიცინო კოლექტივი. მინისტრი ირწმუნება, რომ ეს კრიზისი ეფექტურად იქნება მართული და დიდი ალბათობით კლინიკების მართვას ის გუნდი განახორციელებს, რომელიც მისაღები იქნება კოლექტივისთვის. სერგეენკომ სახელმწიფოს მხრიდან არც იძულებითი მმართველის შესვლა გამორიცხა დაწესებულებაში.

მაინც რამდენად მარგებელი აღმოჩნდა ზოგადად უცხოური ინვესტიციები ჯანდაცვის სისტემისათვის? სერგეენკო მიესალმება უცხოურ ინვესტიციებს და ამბობს, რომ მთავარია სერვისები მიწვდომადი და ხარისხიანი იყოს მოქალაქეებისათვის. ხარისხის კონტროლი და რეგულაციები ყველას მიმართ თანაბრად ხორციელდება და სახელმწიფო არ აპირებს რაიმე შეღავათის გაწევას ეროვნების მიხედვით ამა თუ იმ კლინიკის მმართველისადმი. თუმცა, ქართულ ჯანდაცვაში უცხოურ ინვესტიციებს, მინისტრის თქმით, ამინდი არ შეუცვლია.

2012 წლის დეკემბერში სამინისტროს ინიციატივით ჩამოყალიბდა სამთავრობო კომისია, რომელიც სამედიცინო დაწესებულებების სტატუსს შეისწავლის. კომისია ინტერესდება დაწესებულებების ყიდვა-გადაყიდვისას თუ რამდენიმეჯერ აუქციონზე გატანისას სადმე ხომ არ მოხდა კანონის დარღვევა. ამ რეჟიმში ხდება 1555 დაწესებულების შესწავლა. რეაგირება დარღვევის შესაბამისი იქნება. სერგეენკო ირწმუნება, რომ მისი უწყების ამოცანა არ არის, სუსტი წერტილი მოუნახონ მფლობელებს და წაართვან კლინიკები. მთავარია, კანონი იყოს დაცული.

მინისტრის თქმით, ქართული ჯანდაცვისათვის ერთ-ერთ ტრაგიკულ თემად რჩება სოფლის ამბულატორიები, რომლებიც ერთეულების გარდა უბრალოდ აღარ არსებობს არც იურიდიულად, აღარც ინფრასტრუქტურულად:

– დგას შენობები, რომელიც არავის კუთვნილება არ არის. გაურკვეველია ქონებრივი საკითხი, დენი არ აქვთ, წყალი არ აქვთ, არაფერი არ ხდება. ექიმებთან გაფორმდა ხელშეკრულება, როგორც კერძო პირებთან. მათ შეუძლიათ საკუთარ სახლში განახორციელონ მიღება. ან იმ გაუგებარ შენობაში, რომელიც არავის ეკუთვნის. შევხვდით ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს და ვთხოვეთ, მოეწოდებინათ კრიტიკული წერტილები – სად უფრო უჭირდათ ამბულატორიების არსებობა. ამ ეტაპზე შენდება 81 სოფლის ამბულატორია საქართველოს მასშტაბით. ეს არ არის დიდი კალიბრის დაწესებულება, 40 კვადრატულ მეტრამდეა, მაგრამ ყველა აუცილებელი ფუნქცია ექნება. რაც შეეხება ქალაქის პოლიკლინიკებს, კერძო ქონების არანაირი ნაციონალიზაცია არ იგეგმება. ჩვენი ამოცანაა, დავამყაროთ წესრიგი. ბევრ პოლიკლინიკასთან უამრავი კითხვა გაჩნდა არა მათ სასარგებლოდ. რომ შევისწავლეთ, საკმაოდ ცუდი სურათი დაიხატა. გვინდა მოვაწესრიგოთ ეს სფერო, ანაზღაურება გავხადოთ შესაბამისი, რომ ექიმს ჰქონდეს მოტივაცია, მოუაროს პაციენტს, – განაცხადა სერგეენკომ.

მინისტრმა კლინიკებთან დაკავშირებულ ძირითად რეგულაციებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ რეგულაციები არა მხოლოდ სტომატოლოგიური კლინიკების მიმართ, არამედ ტოტალურად გადასახედია. სამინისტრო გეგმავს, ლიცენზირების სისტემა შეცვალოს აკრედიტაციის სისტემით. პირველ შემთხვევაში ესა თუ ის აპლიკანტი ერთჯერადად ფასდება გარკვეულ კრიტერიუმებთან მიმართებაში და თუ დააკმაყოფილა, უსასრულოდ ეძლევა ლიცენზია. აკრედიტაცია კი დინამიკური კონტროლის მექანიზმების ამოქმედებას გულისხმობს. რაც შეეხება სტომატოლოგიურ კლინიკებს, მათთან გაიზრდება სამინისტროს მხრიდან ინფექციებზე კონტროლი: – მე არ დავარქმევდი ამას გამკაცრებას, დავარქმევდი გაადეკვატურებას, რადგან ახლა ადეკვატური არ არის და არ შეესაბამება სტანდარტებს ინფექციებზე კონტროლი. ერთ-ერთი ჯგუფი არის დეზინფექცია-სტერილიზაცია, – აღნიშნა სერგეენკომ. სტომატოლოგიური კლინიკები გაკონტროლდებიან შესაბამისი ფართით თითოეულ აქტივობაზე, გაკონტროლდება ვენტილაცია, დეზინფექცია-სტერილიზაცია და ხელის დაბანის წესები, რომელსაც ძალიან მკაცრად აკონტროლებს მედიცინა.

# გაზის მილები სახიფათოა

მერი ნამორაძე



ყაზტრანსგაზის მიმართ თბილისის საკრებულოს ერთ-ერთ ფრაქციას სერიოზული პრეტენზიები გაუჩნდა. გუშინ, „ქართული ოცნება – თბილისელების“ თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძემ თბილისის გაზმომარაგების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიმართა და ყაზტრანსგაზის მიერ გამოყენებული მილების საერთაშორისო სამშენებლო ნორმებთან შესაბამისობის შესწავლა მოითხოვა.

– თბილისის უსაფრთხო გაზმომარაგების პრობლემებთან დაკავშირებით გაფართოებული სხდომა გაიმართა, საკითხი ეხებოდა ყაზტრანსგაზის მიერ საცხოვრებელი კორპუსის გამოყენებულ მეტალოპლასტიკის, იგივე პოლიეთილენის მილებსა და გადასაერთებელ ფიტინგებს, რომლის გამოყენება, ჩვენი ინფორმაციით, არის დაუშვებელი და საფრთხის შემცველი და ეწინააღმდეგება საქართველოს და საერთაშორისო სამშენებლო ნორმებსა და წესებს, – განაცხადა გულიკო ზუმბაძემ.

მისი თქმით, ყაზტრანსგაზის წარმომადგენლებმა დოკუმენტი წარადგინეს, რომელიც არ შეესაბამება ქარხანა-დამამზადებლის ტექნიკურ მახასიათებლებს, რაც საფუძვლიან ეჭვს იწვევს, რომ საქმე დოკუმენტის გაყალბებას ეხება. იმის გამო, რომ აღნიშნულ საკითხებზე შესაბამისი ორგანო თბილისში არ მუშაობს, ზუმბაძე ვერ დაელოდება უბედურ შემთხვევებს და პრევენციული ღონისძიებების განხორცილებას იწყებს. ღონისძიება სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსადმი კითხვებით გამოიხატა, თუ რამდენად ცეცხლმდეგი, აალებადსაშიში, მექანიკური დაზიანებებისადმი მყარი და ბუნებრივი პირობებისადმი მედეგია, მათ მიერ გადმოცემული თურქული წარმოების პოლიეთილენი-წებო-ალუმინის, წებო-პოლიეთილენის მილი უსაფრთხო გაზმომარაგებისათვის საყოფაცხოვრებო პირობებში და ნებადართულია თუ არა საქართველოს და საერთაშორისო სტანდარტებით. ასევე რამდენადაა ნებადართული და უსაფრთხო, მოცემული ფიტინგების, რეზინის ჩობალების გაზგაყვანილობაში გამოყენება (გადაბმა-გადაერთება) და შეესაბამება თუ არა საქართველოს და საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებს.

ფრაქციის თავმჯდომარემ მიმართა ასევე საქართველოს მთავრობას, დაჩქარებული წესით შეიმუშავოს კანონით გამყარებული მექანიზმები, რათა აღნიშნული ტიპის საქმიანობებზე სახელმწიფო კონტროლი გაძლიერდეს. გულიკო ზუმბაძე მოუწოდებს საქართველოს პროკურატურას, მოახდინოს სამართლებრივი რეაგირება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

# განათლების სამინისტრო კანონის დაცვის პირობას დებს

მერი ნამორაძე

საზოგადოებას კარგად ახსოვს, რამდენად პოლიტიზებული იყო საჯარო სკოლები და ისიც, რომ ათობით პედაგოგის კარიერა შეეწირა ოქტომბრის არჩევნების წინ ამა თუ იმ ოპოზიციური პარტიის მიმართ სიმპათიის გამოხატვას. ამჯერად, საპრეზიდენტო არჩევნების წინ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მიერ წინასაარჩევნო პერიოდში, საარჩევნო კოდექსის ზოგიერთი მოთხოვნის დაცვის თაობაზე სპეციალური განცხადება გააკეთა.



მინისტრის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მზადაა, სრულად დაიცვას საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და ამით ხელი შეუწყოს საპრეზიდენტო კამპანიის თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარებას. სანიკიძე თავის განცხადებაში იმ შეზღუდვებს შეეხო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო მოხელეს წინასაარჩევნო პერიოდში აქვს. კერძოდ: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში მომუშავე საჯარო მოხელეებს უფლება არ აქვთ, მონაწილეობა მიიღონ წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) სამუშაო საათების განმავლობაში ან, როდესაც ისინი ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობებს; ასევე, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროს სისტემაში შემავალი იურიდიული პირების, მათ შორის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კვლევითი დაწესებულებების, სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელებს ეკრძალებათ, იყვნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საჯარო მოხელეებს წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ეკრძალებათ რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტების კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება; ასევე ეკრძალებათ საარჩევნო კანდიდატებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა, მიწოდება ან გავრცელება, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით.

# შს სამინისტროში ლიტვის ელჩთან შეხვედრა გაიმართა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი დავით სუჯაშვილი და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი შალვა კვინიხიძე, გუშინ, საქართველოში ლიტვის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს იონას პასლაუსკასს შეხვდნენ.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოსა და ლიტვას შორის სამართალდამცავ სფეროში არსებული თანამშრომლობა და მისი გაღრმავების შესაძლებლობები განიხილეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა იონას პასლაუსკასს ასევე მიაწოდეს ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ.

**ნიუსპრესი**

# განსაკუთრებით დიდი ოდენობით „ექსტაზი“ ამოიღეს

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ღონისძიების შედეგად, 1987 წელს დაბადებული თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ჰაჯი ჯ. და 1982 წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქე მანუჩარ კ., ნარკოდანაშაულის ბრალდებით, ბათუმში, ერთდროულად დააკავეს. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ორივე პირი ბაგრატიონისა და ჯავახიშვილის ქუჩების კვეთაზე დააკავეს. ჰაჯი ჯ.-ს პირადი ჩხრეკისას 63 აბი, ხოლო მანუჩარ კ.-ს პირადი ჩხრეკისას 5 აბი ნარკოტიკული საშუალება „ექსტაზი“ ამოიღეს. ნარკოლოგიურმა შემოწმებამ დაადგინა, რომ ორივე ბრალდებული დაკავებისას ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

გამოძიება ჰაჯი ჯ.-ს მიმართ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა-გასაღების ფაქტზე, სსსკ-ის 260-ე მუხლის, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო მანუჩარ კ.-ს მიმართ, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტზე, სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

# ირაკლი ღარიბაშვილმა ენ-დი-აი-ს დელეგაციას უმასპინძლა



შინაგან საქმეთა მინისტრმა გუშინ, „ეროვნულ-დემოკრატული ინსტიტუტის“ დელეგაციის წინასაარჩევნო შემფასებელი მისიის წევრები, შინაგან საქმეთა სამინისტროში მიიღო. შეხვედრას, მისურის შტატის ყოფილი მდივანი რობინ კარნაჰარი, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელი, ამჟამად სტოკჰოლმში უსაფრთხოებისა და განვითარების ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი პერ ეკლუნდი, ნიუ ჯერსის შტატის პირველი ქალი გუბერნატორი კრისტინ ტოდ უაიტმანი, ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი დემონ უილსონი, „ენ-დი-აის“ ევრაზიის რეგიონალური დირექტორი ლორა ჯევეტი, ასევე, „ენ-დი-აის“ საქართველოს ოფისის დირექტორი ლუის ნავარო ესწრებოდნენ.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადების პროცესზე, წინასაარჩევნო პროცესში ჩართული სუბიექტების მოქმედების აქტივობასა და საარჩევნო გარემოზე ისაუბრეს.

**ნიუსპრესი**

# საქართველო-თურქეთის საზღვარზე ახალი საკონტროლო-გამშვები პუნქტი აშენდება

საქართველოსა და თურქეთის საზღვარზე, ახალი საკონტროლო-გამშვები პუნქტის მშენებლობა იგეგმება. ამის შესახებ ჟურნალისტებს თურქეთის ვაჭრობის და საბაჟოს მინისტრმა ჰაიატ იაზიჩმა განუცხადა.

მინისტრის თქმით, დღეისთვის მხოლოდ ორი საკონტროლო-გამშვები პუნქტი ფუნქციონირებს და იქ არსებული გრძელი რიგების გათვალისწინებით, დამატებითი პუნქტების ამოქმედება აუცილებელია.

მოცემულ ეტაპზე, ქვეყნები მურათლის საკონტროლო-გამშვები პუნქტის ექსპლუატაციაში შეყვანაზე შეთანხმდნენ.

იაზიჩის განცხადებით, ამ მიმართულებით ინტენსიური სამუშაოები უკვე დაწყებულია.

**ნიუსპრესი**


# უმარტივესი გზა სწრაფი განვადების მისაღებად!




გსურთ სასურველი ნივთის შეძენა განვადებით? თქვენ ეს უკვე ზედმეტი დროის დახარჯვისა და რიგში დგომის გარეშე შეგიძლიათ! თიბისი ბანკი გთავაზობთ, წინასწარ დაიმტკიცოთ სესხი სახლიდან გაუსვლელად. როგორ? ეს უკვე მარტივია:

1. ავსებთ თიბისი ბანკის ონლაინ განვადების განაცხადს ინტერნეტით, თიბისი ბანკის ვებ-გვერდზე http://tbcbank.ge/ge/online_forms/online_installment/
2. განვადების დამტკიცების შესახებ შეტყობინება მოგდით სმს-ის სახით;
3. სავაჭრო ობიექტში არჩევთ თქვენთვის სასურველ ნივთს;
4. მაღაზიაში მხოლოდ თქვენს მიერ განვადებით შეძენილი ნივთის წარმოსაღებად მიდიხართ.

ონლაინ განვადება უნიკალური შესაძლებლობაა მათთვის, ვისაც სურს დაზოგოს დრო და გაიმარტივოს სასურველი ნივთის შეძენა განვადებით. თქვენ აღარ გიწევთ სავაჭრო ობიექტში რიგში დგომა და ბანკისგან დასტურის მოლოდინი - შეგიძლიათ ისარგებლოთ ყველაზე კომფორტული, თანამედროვე და სწრაფი სერვისით, რომელიც გაძლევთ საშუალებას, სახლიდან გაუსვლელად, უმოკლეს დროში დაიმტკიცოთ სესხი და მიიღოთ სასურველი ნივთი.

ონლაინ განვადების განაცხადის შევსება უმარტივესია და თქვენგან მხოლოდ 5 წუთს მოითხოვს - საჭიროა მხოლოდ მიყვეთ განაცხადის შაბლონს და შეავსოთ ყველა საჭირო ველი.

ონლაინ განვადების მისაღებად თქვენი შემოსავალი მინიმუმ 100 ლარს უნდა შეადგენდეს, შესაძენი ნივთის მაქსიმალური ღირებულება კი 5,000 ლარია. გარდა ამისა, თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ არჩეული ნივთი ან სავაჭრო ობიექტი და დამტკიცებული ლიმიტი სხვა სავაჭრო ობიექტში გამოიყენოთ. წინასწარ დამტკიცებული ლიმიტით სარგებლობა შესაძლებელია საქართველოს მასშტაბით მოქმედ ყველა სავაჭრო ობიექტში, რომელშიც მოქმედებს თიბისი ბანკის სწრაფი განვადება. გაითვალისწინეთ ისიც, რომ სავაჭრო ობიექტების უმრავლესობა 0%-იან სწრაფ განვადებას გთავაზობთ.

ისარგებლეთ თიბისი ბანკის სწრაფი, მოქნილი და მარტივი ონლაინ განვადებით. შეავსეთ განაცხადი 5 წუთში და მიიღეთ სასურველი ნივთი!

სწრაფი განვადება ახლა ხელმისაწვდომია ამ ლინკზე:http://tbcbank.ge/ge/online_forms/online_installment/


# ავიაკომპანია „ფლაი ჯორჯია“ მორიგ სკანდალში გაეხვია

ქართული ავიაკომპანია ,,ფლაი ჯორჯია“ თვითმფრინავის გარეშე დარჩა. გავრცელებული ინფორმაციით, ავიაკომპანიას სალიზინგო კომპანიამ აირბუს-ის ტიპის ხომალდი ჩამოართვა, რომელიც უკვე რამდენიმე დღეა ბრიუსელში ჰყავთ გადაყვანილი.

ინფორმაციის თანახმად, ,,ფლაი ჯორჯია“-მ საერთაშორისო სალიზინგო კომპანია ,,აილეფსს“ დავალიანება ვერ გადაუხადა, რაც გახდა იმის წინაპირობა, რომ ავიაკომპანიისთვის თვითმფრინავი ჩამოერთმიათ.

კომპანიაში თვითმფრინავის ჩამორთმევის ფაქტს არ ადასტურებენ, თუმცა არ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ ერთი თვითმფრინავი ამ დროისათვის ნამდვილად გაჩერებულია. როგორც კომპანიაში აცხადებენ, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ,,ფლაი ჯორჯია“-ში მენეჯმენტი გამოიცვალა და ახალმა კადრებმა საჭიროდ ჩათვალეს, წინა მენეჯმენტის დროს დადებული ხელშეკრულებები გადაეხედათ. კომპანიის ინფორმაციითვე, ახალი მენეჯმენტისთვის მიუღებელი აღმოჩნდა სალიზინგო ხელშეკრულება და კომპანიამ ხელშეკრულების შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო. დეტალების გარკვევამდე ხომალდი ბრიუსელში დარჩება.

როგორც, ,,ფლაი ჯორჯია“-ში აცხადებენ, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას ერთი საჰაერო ხომალდი გამოაკლდა, კომპანიას სხვა საიჯარო ხელშეკრულებებიც აქვს გაფორმებული და ავიაკომპანიას მუშაობასა და მგზავრთა გადაყვანის მხრივ, პრობლემები არ შეექმნება.

შეგახსენებთ, რომ კომპანია ბოლო პერიოდში რამდენიმე სკანდალში გაეხვა. ივლისში, კომპანიის მგზავრებით სავსე თვითმფრინავი გერმანიაში, ქალაქ დუსელდორფში გააჩერეს. გავრცელებული ინფორმაციით, ავიაკომპანიას მაშინ დუსელდორფის აეროპორტის დავალიანება ჰქონდა, რის გამოც მას საწვავი არ მისცეს.

**ნიუსპრესი**

# „112“-ის დეპარტამენტი მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდა




სსიპ „112“-ის დეპარტამენტი, დღეიდან, სტიქიის სავარაუდო შემოტევის გამო, მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადადის. ამის შესახებ ორგანიზაციის განცხადებაშია ნათქვამი.

„სინოპტიკოსები 4 სექტემბერს, დღის მეორე ნახევრიდან 5 სექტემბრის ჩათვლით, საქართველოს ტერიტორიაზე ამინდის მკვეთრ გაუარესებას პროგნოზირებენ. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს „112“-ის დეპარტამენტი სრულ მზადყოფნაშია, რათა განსაკუთრებულ რეჟიმში იმუშაოს.

„112“-ის სადისპეტჩერო, ოპერატიულად მიიღებს და განახორციელებს ზარების დროულ დისპეტჩერიზაციას, საქართველოს მოსახლეობისთვის დროული დახმარების აღმოჩენის მიზნით“ – ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ ხვალ საქართველოს ტერიტორიაზე ციკლონი შემოვა, რაც სავარაუდოდ ძლიერ წვიმებს, ღვარცოფებსა და მეწყერსაშიში ზონების გააქტიურებას გამოიწვევს.

**ნიუსპრესი**

# კერძო იპოთეკარებისგან დაზარალებულებმა საბანკო კანონმდებლობის შეცვლა მოითხოვეს



გუშინ თბილისში, მთავრობის კანცელარიასთან, კერძო იპოთეკარებისგან დაზარალებულმა მოქალაქეებმა, საბანკო კანონმდებლობის შეცვლის მოთხოვნით, საპროტესტო აქცია გამართეს.

აქციაში პარტია ,,თავისუფალი საქართველო“, არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ახალგაზრდა უფლებადამცველები“ და პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სალუაშვილიც მონაწილეობდნენ.

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, ალექსანდრე შალამბერიძის განცხადებით, ვიდრე საკანონმდებლო ორგანო ახალ კანონპროექტს დაამტკიცებს, გამოსახლებები უნდა შეჩერდეს და დაზარალებულ ოჯახებზე დაბალპროცენტიანი სესხები გაიცეს.

,,მოვითხოვთ, სექტემბერში, ვიდრე აქვს დრო პარლამენტს, დაასრულოს ამ კანონის მიღება და ამ ადამიანებს დავეხმაროთ. ეს ადამიანები არიან დაზარალებულები, ამიტომ უსახლკაროდ საქართველოში არცერთი ადამიანი არ უნდა გვყავდეს“– აცხადებს შალამბერიძე.

როგორც აქციის ერთ-ერთი მონაწილე ირინა მღვდელაძე აცხადებს, მათ ყველა ორგანოს მიმართეს.

,,ყველგან განცხადებები გვაქვს შეტანილი, მაგრამ პასუხი არსაიდან მიგვილია. ვაგროვებთ ხელმოწერებს, რათა მივმართოთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ვინაიდან საქართველოს ქართველი ხალხის ბედი არ აღელვებს“– განაცხადა ირინა მღვდელაძემ.

შეგახსენებთ, რომ ხელისუფლებამ კერძო იპოთეკარების საქმიანობის დარეგულირება დაიწყო. აღნიშნული კანონპროექტით საქართველოს პარლამენტს იუსტიციის სამინისტრომ მიმართა.

**მედიანიუსი**

# დავით ბაქრაძე ხელისუფლებას სამი ინიციატივით მიმართავს

ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატი დავით ბაქრაძე ქართული ეკონომიკის დახმარების მიზნით, ხელისუფლებას სამი ინიციატივით მიმართავს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე დავით ბაქრაძემ განაცხადა, ის ხელისუფლებას გადასახადების შემცირების, ახალი ეკონომიკური რეგულაციების შემოღებაზე ხუთწლიანი მორატორიუმის გამოცხადების, ეკონომიკური ამნისტიისა და ბიზნესის სრული დეკრიმინალიზაციის ინიციატივებით მიმართავს.

„საქართველოს ეკონომიკა იმყოფება რთულ მდგომარეობაში. ამ სირთულეს და კრიზისს კიდევ უფრო გააღრმავებს ის განცხადება, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ პრემიერისგან. ვინაიდან მისი წასვლა იქნება ის გაურკვევლობა, რომელიც ნებისმიერი ბიზნესმენის თუ ინვესტორისთვის ნიშნავს როგორც მინიმუმ რამდენიმეთვიან პაუზას, სანამ ის გადაწყვეტს საქართველოში თანხის დაბანდებას და ქართულ ეკონომიკაში თანხის ჩადებას. ამიტომ სიტუაცია არის მნიშვნელოვანი, ვინაიდან ყველა ამ ციფრის უკან დგანან ადამიანები, დაკარგული სამუშაო ადგილები და ის ფაქტი, რომ ადამიანები იცხოვრებენ უარესად და მეტ გაჭირვებაში, ვიდრე ეს იყო აქამდე.

სწორედ ამიტომ ვთავაზობ ხელისუფლებას, შევწყვიტოთ შიდაპოლიტიკური კამათი და დისპუტი იქ, სადაც საკითხი ეხება ეკონომიკას. ერთად გადავდგათ ნაბიჯები, რომელიც დაგვეხმარება ეკონომიკის ფეხზე დაყენებაში, ადამიანების დასაქმებაში, სამუშაო ადგილების შექმნაში. ერთად გადავდგათ სამი მარტივი ნაბიჯი, რომელიც ქართულ ეკონომიკას დაეხმარება. პირველი, ეს არის გადასახდების შემცირების გაგრძელება, მეორე ეს არის – ხუთწლიანი მორატორიუმის გამოცხადება ახალი ეკონომიკური რეგულაციების შემოღებაზე, და მესამე – ეკონომიკური ამნისტია და ბიზნესის სრული დეკრიმინალიზაცია,“– განაცხადა დავით ბაქრაძემ.

**მედიანიუსი**

# გიგი წერეთელმა შვედეთის დელეგაციას ვანო მერაბიშვილზე უამბო



საპარლამენტო უმცირესობის წევრი გიგი წერეთელი შვედეთის საპარლამენტო დელეგაციას შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის პატიმრობას და ბოლოდროინდელ დაკავებებს შეეხო.

გიგი წერეთლის განცხადებით, შვედეთი საქართველოს მეგობარი ქვეყანაა და მეგობრობა ხელს არ უშლის, კრიტიკულად იყოს განწყობილი იმ საკითხების მიმართ, რაც კრიტიკულად უნდა შეფასდეს.

„შეხვედრისას გარკვეული საკითხები გამოიკვეთა, რომელიც ეხება მიმდინარე საარჩევნო კამპანიას, დემოკრატიის განვითარებას. აღვნიშნეთ იმ პრობლემების შესახებ, რასაც ვხედავთ, დაწყებული ვანო მერაბიშვილის პატიმრობით, დასრულებული გარკველი შეტევებით. პრობლემაა პარტიისთვის, როცა გენერალური მდივანი დაპატიმრებულია, ათასობით ადამიანი გათავისუფლებულია და ძალიან ბევრი კვლავ დაკითხვებზე დადის ამ საარჩევნო პერიოდში“ , – განაცხადა წერეთელმა.

შვედეთის დელეგაციას, შვედეთის პარლამენტის თავმჯდომარე პერ ვესტერბერი ხელმძღვანელობს.

**მედიანიუსი**

# შეამოწმებს თუ არა „ყაზტრანსგაზს“ პროკურატურა

გულიკო ბალაძე

„ყაზტრანსგაზმა“ მთელი თბილისი ნაღმზე დასვა. თბილისში გაზიფიცირების პროცესი კანონდარღვევით ხორციელდება, რამაც შეიძლება კატასტროფული შედეგები გამოიწვიოს. მათ საქართველოში ახალი საკონცენტრაციო ბანაკის ნაირსახეობა შექმნეს. ამის შესახებ საუბრობს დამოუკიდებელი ექსპერტიზის ცენტრის „ვექტორის“ ექსპერტი გიორგი ნიკოლაიშვილი.

„ყაზტრანსგაზი“ თბილისში გაზიფიცირების პროცესში იყენებს პოლიეთილენის მილებს, რომელიც ცხელი და ცივი წყლის გატარებისთვისაა განსაზღვრული და არა გაზის მიწოდებისთვის. მილების მწარმოებელი კომპანია საერთოდ არ აწარმოებს გაზის გასატარებელ მილებს. მას არ გააჩნია „ისო“ საერთაშორისო სერთიფიკატი. კომპანიის ვებგვერდზე შავით თეთრზე წერია, რომ მილი, რომელსაც „ყაზტრანსგაზი“ ამონტაჟებს, გამოიყენება ცივი და ცხელი წყლის გასატარებლად.

ამასთან, თბილისში მილები შედუღების გარეშეა დამონტაჟებული. გაზგაყვანილობის ქსელი ელექტროსადენებთან, სატელეფონო და ინტერნეტის კაბელებთან ერთადაა გაყვანილი, რაც აფეთქების საშიშროებას ქმნის, თან მილები გადასაბმელი საშუალებებითაა გაყვანილი, რომელიც სამშენებლო ნორმათა წესებით აკრძალულია.

2010 წელს ტექზედამხედველობის სააგენტომ და „ყაზტრანსგაზმა“ თვალი დახუჭა ეკონომიკის ყოფილი მინისტრის ვერა ქობალიას ბრძანებაზეც, სადაც აღნიშნულია, რომ არ შეიძლება პოლიეთილენის მილების მიწაში, მიწის ზემოთ და შენობაში მონტაჟი, 4.85 პუნქტი კი საერთოდ, კრძალავს ამ მილების გამოყენებას.

„უფლებადამცველთა გაერთიანება“ ხელისუფლებისაგან მოითხოვს თბილისში პოლიეთილენის მილებით გაზიფიცირების პროცესის შეწყვეტას, რადგან თბილისი უკვე ზის ნაღმზე და, თუკი ეს პროცესი არ შეჩერდა, სავალალო შედეგს მივიღებთ.

დამოუკიდებელი ექსპერტი **გიორგი ნიკოლაიშვილი:**

— საქართველოში მოქმედი სამშენებლო წესების თანახმად, რომელიც არის ეკონომიკის ყოფილი მინისტრის ვერა ქობალიას მიერ ძალაში შეყვანილი, პოლიეთილენისა და პოლიეთილენის შემცველი მილებით გაზგაყვანილობის გაკეთება არ შეიძლება როგორც მიწის ქვეშ (ვინაიდან საქართველო არის სეისმურ ზონაში), ასევე მიწის ზემოთ და მრავალსართულიან კორპუსებში. მინისტრის ბრძანება, საერთოდ, უგულებელყოფილი და იგნორირებულია ტექნიკური ზედამხედველობის ხელმძღვანელობის მიერ. ამიტომ „ყაზტრანსგაზსა“ და სხვა გაზის მომწოდებელ კომპანიებს მიეცათ თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა და თბილისისა და ახლა უკვე რუსთავის გაზიფიცირება მოხდა პოლიეთილენის მილებით. ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ პოლიეთილენის მილების გადაბმა გაკეთებულია იმისთანა გადასაბმელი მოწყობილობებით, რომელიც შეიცავს სალნიკებს. ეს სალნიკები საერთოდ არ არის გათვლილი გაზმომარაგებაზე. ამიტომ დიდი საშიშროებაა, რამდენიმე წელიწადში, ზოგ ადგილზე კი უკვე დაწყებული აქვს ამ სალნიკებს გაზის გაშვება. საკმაოდ დიდი სუნი დგას სადარბაზოებში. მსოფლიოში პრეცედენტი არ არსებობს, რომ აღნიშნული მილები ვინმეს გაეკეთებინოს მაღალსართულიან სახლებში.

***— პრეცედენტს თავი რომ დავანებოთ, მსოფლიოში მიღებული სტანდარტები ხომ არსებობს, რა მასალის მილებით უნდა მოხდეს გაზგაყვანილობის მონტაჟი?***

— მსოფლიოში მიღებული სტანდარტებით (ძალიან ჰგავს ევროკავშირში მიღებული სტანდარტები და დსთ-ის ქვეყნებში მოქმედი სტანდარტი) პოლიეთილენის მილების მონტაჟი დაშვებულია მხოლოდ სამ სართულამდე ერთბინიან სახლში ანუ რამდენიმე ოჯახი რომ ცხოვრობდეს ერთ სამსართულიან ბინაში, იმაშიც კი აკრძალულია პოლიეთილენის მილებით გაზგაყვანილობის გაყვანა. წარმოიდგინეთ, საქართველოში ახალი საკონცენტრაციო ბანაკის ნაირსახეობა შექმნეს, რომელსაც ჰქვია თბილისი. მათ მთელი თბილისის მოსახლეობა გაზის აფეთქების წინაშე კი არა, მოწამვლის წინაშე დააყენეს. გაზის გაჟონვები რომ მოხდება, კაცი შეიძლება მოიწამლოს ან შეიძლება ყველაზე დიდი უბედურებების წინაშე დავდგეთ — კორპუსების აფეთქებებიც დაიწყოს.

***— სხვათა შორის, ახლა პრეზიდენტის სასახლეს რომ აკეთებენ (ყოფილი ამერიკის საელჩოს შენობა), მის გვერდით გაგრძელებაზე 68-ე სკოლა იყო (მოსწავლეებს წაართვა სააკაშვილმა და გააჩანაგა) და იქ მუდმივად იყო გაზის სუნი. რამდენჯერმე დავაყენე საკითხი და მიპასუხეს, ასე ხდებაო ანუ იქ გაზის სუნი პოლიეთილენის მილებით გაყვანილობის ბრალია.***



— ეგ შეიძლება პოლიეთილენის მილების ბრალიც იყოს და გადაბმებშიც იყოს გაჟონვები. გადაბმები რა მასალითაც არის გაკეთებული, სამშენებლო წესებით სასტიკად აკრძალულია. რაც შეეხება სუნს, მნიშვნელობა აქვს, რა რაოდენობის ოდორანტია გარეული. საერთოდ, გაზი არის უსუნო და უფერო ნივთიერება. ოდორანტი არის ის ნივთიერება, რომელიც ეძლევა გაზს და ანიჭებს სუნს. არსებობს წესები და ნორმები, თუ რა რაოდენობის ოდორანტი უნდა შეერიოს გაზს. როგორც მახსოვს, 10 ათას კუბურ მეტრზე დასაშვებია დაახლოებით 30 გრამამდე ოდორანტის გარევა. გლდანში იყო ლაბორატორია, რომელიც აკონტროლებდა ოდორანტის რაოდენობასა და შემცველობას გაზში.

***— აღნიშნული ლაბორატორია აღარ არსებობს?***

— ამ ლაბორატორიის ხელმძღვანელი იყო ქალბატონი ლალი კაკაშვილი. ამ ლაბორატორიას ლიკვიდაცია გაუკეთეს. მომხმარებელი რომ დაინტერესდეს, რა ხარისხის გაზს გვაწვდის „ყაზტრანსგაზი“, „სოკარი“, „ყამარი“, „ვარკეთილ აირი“ და სხვა კომპანიები საქართველოში („ყამარი“ და „ვარკეთილაირი“ გაზს ყიდულობენ „ყაზტრანსგაზიდან“), ვერავინ ველარ გაარკვევს. ხარისხის ლაბორატორიაში ნაციონალების დასმულ დამქაშებს ყველანაირი კანონი და წესი გაუქმებული აქვთ. მინისტრის ბრძანება უგულებელყვეს და „ყაზტრანსგაზმა“ ასეთი დიდი უბედურება მოახდინა სახელმწიფო ჩინოვნიკების გულგრილობის, არაკომპეტენტურობის გამო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ იქ მომუშავე არც ერთ პირს არ გააჩნია ტექნიკური განათლება.

***— როგორც ვიცი, ბოლო პერიოდში „ყაზტრანსგაზი“, პრაქტიკულად, გაგდებული იყო. ითქვა, რომ ახლა კვლავ ბრუნდება. ხომ არ იცით, ამ კომპანიის გაგდების მიზეზები რა იყო?***

— ჭორის დონეზე ვიცი, რომ მენეჯმენტი გაუშვეს (ნაცმოძრაობის წევრები), ანა თაქთაქიშვილი და რამდენიმე მაღალჩინოსანი გაათავისუფლეს „ყაზტრანსგაზიდან“, მაგრამ, როგორც თვითონ „ყაზტრანსგაზის“ წარმომადგენელმა განაცხადა, ისინი პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდნენ. ალბათ, არის მცდელობა, ეს საქმე მიიჩქმალოს და რამენაირად გამოძვრნენ. წარმოიდგინეთ, მოსახლეობისთვის მიწოდებული აირის ხარისხის კონტროლი აღარ არსებობს. შეიძლება, თქვენ ჩვენთვის მოწოდებული აირი 46 თეთრად მოგყიდონ, სინამდვილეში მისი ფასი 20 თეთრი იყოს, გაზის კალორიულობა ფასის შესაბამისი არ იყოს.

***— ე.ი. გაზის სუნი როცა იგრძნობა ქუჩაში, ოდორანტის დიდი ოდენობაა გარეული გაზში?***

— დიახ, შესაძლოა, ოდორანტის რაოდენობაც მეტი იყოს მიცემული. ოდორანტი არის მომწამლავი ნივთიერება. ყველაფერი უვიცების ხელშია ჩავარდნილი. არანაკლებ საგანგაშო სიტუაციაა ავტოგაზგასამართებთანაც. ავტოგაზგასამართი სადგურები პირდაპირ სახლებთანაა მიდგმული. ეს არის წესების დარღვევა. არ ხდება ამის არანაირი შემოწმება. საქართველოს კანონიდან „უსაფრთხოების შესახებ“ ნაცებს სპეციალურად ამოღებული აქვთ ქალაქის მეურნეობების კონტროლი და მთლიანად უკონტროლოდაა დატოვებული. „ყაზტრანსგაზს“, სოკარსა“ და ამისთანა ორგანიზაციებს რაც უნდათ, იმას აკეთებენ ანუ სახელმწიფომ ამაზე კონტროლი დაკარგა.

***— წინა წლებში ძალიან ბევრი აფეთქება და გაზის გაჟონვა ხდებოდა და ადამიანები იღუპებოდნენ. ამ მილების ბრალიც ხომ არ იყო?***

— ოფიციალური სტატისტიკა ყველანაირად იჩქმალება. გლდანში რომ აფეთქდა, ვინმემ იცის სრული პასუხი, რა მოხდა? ავარიის ნამდვილი მიზეზს ჩქმალავენ.

# არქიტექტორებმა მართლა გაიჯეჯილეს?

**გაზეთ „ახალი თაობის“ მიმდინარე წლის 14 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა რეფორმატორთა კავშირის თავმჯდომარის, ასოციაცია „მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ ხელმძღვანელის, ყოფილი პარლამენტარის ანზორ საკანდელიძის ინტერვიუ ჟურნალისტ მერი ნამორაძესთან, სადაც სათაურად გამოტანილია ბატონ ანზორ საკანდელიძის ფრაზა: „არქიტექტორებმა ძალიან გაიჯეჯილეს“.**

ქართველი არქიტექტორების მიმართ ამ პასკვილის საპასუხოდ სასურველი იქნებოდა პასუხი გაეცა საქართველოს არქიტექტორთა კავშირს, ეს ინტერვიუ უნდა განეხილათ კავშირის გამგეობის სხდომაზე,სადაც მიწვეული იქნებოდნენ საზოგადოებისა და კულტურის გამოკვეთილი ლიდერები და იმსჯელებდნენ ამ სრულიად არაჯანსაღ ტენდენციებზე და დამოკიდებულებაზე არქიტექტურისა და არქიტექტორების მიმართ, რაც გამოთქმულია ამდენი რეგალიების მქონე ავტორის ინტერვიუში. მე, როგორც კავშირის გამგეობის წევრი, თავს უფლებას ვაძლევ გავხსნათ დისკუსია.

ბატონო ანზორ, ნეტა მართლა ეგრე იყოს, თქვენც კარგად იქნებოდით და ჩვენც, ანუ ქართველი არქიტექტორებიც და მშენებლებიც.თქვენ კარგად მოგეხსენებათ,რომ ერთ საქმეს ვემსახურებით და ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისათვის არქიტექტურისა და მშენებლობის მაღალ დონეს მართლაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ალბათ დააკვირდებოდით, რომელი ქვეყნები ეჯიბრებიან ერთმანეთს ყველაზე მაღალი შენობების აგებაში? — ყველაზე მდიდარი და ყველაზე ამბიციური ქვეყნები.თუ იცით იმ მშენებლის გვარი, ვინც ასეთი ქმნილებებიააშენა? არ იცით. ასეთი შენობების დამპროექტებლების,არქიტექტორების გვარები კი მსოფლიოსათვის ცნობილია. ეს ბუნებრივია. შენობის სახეს,მის არქიტექტურას, განთავსებასგარემოში და მის ფუნქციას არქიტექტორები ქმნიან.

ქართული და არა მარტო ქართული ანდაზაა „ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო“. არქიტექტურაში და მშენებლობაშიც ასეა, ვიდრე რაიმეს გააკეთებდე, ააშენებდე კარგსა და მნიშვნელოვანს, შეიძლება კონკურსი ჩაატარო რამდენიმეჯერ, ვიდრე არქიტექტურული გადაწყვეტის მისაღებ შედეგს არ მიაღწევ.არქიტექტურული გადაწყვეტის მისაღებ შედეგს წინ უძღვის არქიტექტორის დაუღალავი შრომა, უძილო ღამეები.

აპრობირებული მეთოდი იყო მნიშვნელოვანი ობიექტის შესაქმნელად არქიტექტურული კონკურსის ჩატარება, ზოგჯერ რამდენიმე ეტაპისა, სანამ მისაღებ შედეგს არ მიაღწევ. ამის მაგალითი იყო ძველი თბილისის რიყე. (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არ არის საჭირო „რიყისათვის“ ახალი სახელის მოგონება, ის თავისი ისტორიის და ფუნქციის მიმანიშნებელი სიტყვაა. ის უნდა დარჩეს.) რიყის კონცეფციაზე რამდენჯერმე გამოცხადდა კონკურსი. გადაწყვეტილება ვერ მიიღეს, მიუხედავად იმისა, რომ იყო საინტერესო მოსაზრებებიც. სააკაშვილის ხელისუფლებამ დაუფიქრებლად, თამამად გადაწყვიტა რთული არქიტექტურული პრობლემა: მოიწვია უცხოელი არქიტექტორები და საქმეც გადაწყდა. ამისთანა ნაჩქარევ გადაწყვეტილებას რაც მოჰყვა, სახეზეა — რიყეზე აშენდა ძველი თბილისისათვის, მისი კონტექსტისათვის ყოვლად მიუღებელი ორი მილისაგან შექმნილი საკონცერტო დარბაზი.

უცხოელი არქიტექტორისათვის არაფერს არ წარმოადგენს ჩვენთვის ასე ახლობელი და საყვარელი რიყე და მის გარშემო ამფითეატრად გაშლილი ძველი თბილისის ადამიანური და მხატვრული გარემო, ამას ვერ შეიგრძნობს რომისა და ფლორენციის ძეგლებზე აღზრდილი კაცი, მიუხედავად მისი რანგისა და საინტერესო შემოქმედებისა, ამიტომ არის შეცდომა მათი ასე უაპელაციოდ ჩართვა თბილისის არქიტექტურაში. აქ დარღვეულია კონტექსტი, მასშტაბი, დამოკიდებულება გარემოსთან, დამოკიდებულება ქვეყანასთან და კოლეგებთან, რაც ასე აკრძალულია არქიტექტორთა საერთაშორისო ქცევის ნორმებით. მოწვეულ არქიტექტორებს პროექტისათვის უხდიან დიდ თანხებს, მისი მეათედი დაუჯდებოდა გიგი უგულავას ეს საქმე ქართველი არქიტექტორებისათვის რომ მიენდო, რომელთა რეპუტაციის შელახვაზე უკვე დიდიხანია მიმდინარეობს ბინძური კომპანია. ეს პასკვილიც ამ საქმიანობის ნაწილია.

მერიას აუცილებლად უნდა გამოეცხადებინა კონკურსი საერთაშორისო მასშტაბით და აქ შეირჩეოდა მისაღები გადაწყვეტილება, მაგრამ იბადება ეჭვი გარიგების თაობაზე, რაც ძალზე სამწუხარო ფაქტია.

თქვენ კი ამბობთ, რომ „არქიტექტორებმა გაიჯეჯილეს“ და გულისხმობთ ქართველ არქიტექტორებს, რომლებიც ფაქტიურად ჩამოცილებულები არიან სერიოზული ობიექტების პროექტირებას.

არსებობს არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის (ასკ-ის) შეთანხმება არქიტექტურის პრაქტიკაში და პროფესიონალიზმში ეთიკის და ქცევის საერთაშორისო სარეკომენდაციო სტანდარტები. ეს სტანდარტები სავალდებულოა ყველა არქიტექტორისათვის, თუ ის პატიოსანია. ეს სტანდარტები ღაღადებს:

„პრინციპი 2 : ვალდებულება საზოგადოების წინაშე: არქიტექტორებს აქვთ ვალდებულება საზოგადოების წინაშე დაიცვან კანონის სულისკვეთება და ანაბანა, რომლებიც მათ პროფესიულ საქმიანობას უწევენ რეგლამენტირებას, იქ სადაც ქმნიან არქიტექტურას. მათ გულდასმით უნდა გაითვალისწინონ მათი პროფესიული საქმიანობის სოციალური შედეგები და ზემოქმედება გარემოზე;

2.1 სტანდარტი: პატივი უნდა სცენ და მიემხრონ ღირებულებათა სისტემას, აგრეთვე იმ საზოგადოებას, სადაც ისინი მოღვაწეობენ, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და დაცვას. ისინი უნდა ისწრაფვოდნენ გარემოს დაცვისა და მისი გაუმჯობესებისაკენ;

2.5 სტანდარტი: არქიტექტორებმა უნდა დაიცვან ეთიკისა და ქცევის კოდექსი იმ ქვეყანასა და მის ნაწილეში, რომლებსაც აქვთ საკუთარი იურისდიქცია და სადაც არქიტექტორი აპირებს განახორციელოს თავისი პროფესიული მომსახურება. „

თუ ვინმემ გაიჯეჯილა საქართველოში, უცხოელმა არქიტექტორებმა „გაიჯეჯილეს“, ბ-ნო ანზორ, შეხედეთ ბათუმს, მესტიას, რიყეს. ამაზე ერთი სიტყვაც არ არის თქვენს ინტერვიუში. აქ ყველგან დარღვეულია არქიტექტორთასაერთაშორისოდ მიღებული ეთიკისა და ქცევის ზემოთ მოყვანილი სტანდარტები. ამას ვერ გაუბედავენ ქვეყანას, რომელსაც პატრონი ჰყავს, რომელსაც იცავს თავისი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კანონები, რომელსაც უყვარს თავისი ქვეყანა და თავისი ქალაქი.

რომ შეეკითხოთ გიგი უგულავას, უყვარს თუ არა თბილისი, შეიძლება ეწყინოს კიდეც, თუმცა იმ ქმედებებს, რასაც ის აკეთებს, არც ქვეყნის და არც ქალაქის სიყვარული არა ჰქვია. მით უმეტეს, მისი თანამოქალაქეებისა.

ბ-ნო ანზორ, თქვენ საუბრობთ ეკოლოგიაზე და სეისმომედეგობაზე. ეს თვითკრიტიკაა. ვინ გიშლით შემოიტანოთ ეკოლოგიურად სუფთა სამშენებლო მასალა, ან შენობების კონსტრუქცია გათვალოთ 9 ბალიან მედეგობაზე. ეს თქვენი პრეროგატივაა. აქ არქიტექტორებს რაში ადანაშაულებთ, გაუგებარია. ან რა წილი აქვთ ქალაქში არქიტექტორებს შემდეგ ქმედებებზე:

1. ქალაქში გაუქმდა ელექტრო ტრანსპორტი — ტროლეიბუსი და ტრამვაი, იაფი და ეკოლოგიურად სუფთა. ძვირფასი სპილენძის სადენები და უმაღლესი ხარისხის ფოლადის რელსები ალბათ ჯართად გაიყიდა, ალბათ იმიტომ, რომ არ ვიცი, იქნებ ძალიანაც სარფიანად გაიყიდა. სამაგიეროდ შემოიყვანეს ყვითელი ავტობუსები. ავტობუსის სამგზავრო ღირებულება გაორმაგდა. მარშრუტები გაიყო და ქალაქში გრძელ მარშრუტებზე შეიძლება სამჯერ გადაჯდომა მოგიხდეს.ჩაწყობილი ტენდერებით შემოიყვანეს მიკროავტობუსების დიდი რაოდენობა და მგზავრობის ღირებულება საგრძნობლად გააძვირეს. ცოტა ხნის წინ, ტაქსისტები გაიფიცნენ და ქალაქმა ამოისუნთქა, ჰაერი ოდნავ გაიწმინდა ;

2. ქალაქში, სადაც მწვანე ნარგავები და რეკრიაციული ზონები იყო, გეგმაზომიერად ნადგურდება, ტერიტორიები იყიდება ( იპოდრომი, მზიური, ვაკის პარკი, ასათიანის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, დიღმის ტყე-პარკი და ა.შ.);

3. იყიდება საზოგადოებრივი სივრცეები, სატრანსპორტო კვანძები (სასტუმრო „აჭარის“ წინა მოედანი;

4. იყიდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები სტატუსის ჩამორთმევით. უაზრო რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ალმაშენებლის გამზირსა და მარჯანიშვილის ქუჩას. XXI ს-ში აშენებული შენობები XIX ს-ისას დაამსგავსეს და ამით თავს იწონებენ;

5. გაიყიდა სკოლისა და საბავშვო ბაღების შენობები. ზოგან დევნილი და ლტოლვილი მოსახლეობა შეასახლეს, რომლებმაც ნგრევის უცნაური ჟინი გამოიჩინეს და ფაქტიურად დაანგრიეს, დაწვეს და თვითონვე ცხოვრობენ ამ ნანგრევებში. ეს სულ გაუგებარია.

ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს საქართველოს მტერი შემოესია და ანადგურებს ყველაფერს: მეცნიერებას, განათლებას, კულტურას, ყოფა-ცხოვრებას, ქარხნებს, ფაბრიკებს, სოფლის მეურნეობას, ბიზნესს. სოფლები გაუკაცრიელდა, საქართველოს მოსახლეობა განახევრდა, გველეშაპი დაეპატრონა საქართველოს...

და აი, ამ დროს გამოჩნდა კაცი, რომელმაც ცხრათავიან გველეშაპს რვა თავი მოსჭრა და მე-9 თავი სამუზეუმოდ დაუტოვა. ეს კი ძვირად გვიჯდება. სწორედ ეს თავი ანთხევს, სწამლავს და კვლავ აგრძელებს ადამიანების სულის შემძვრელ სიცრუის გავრცელებას. ბატონო ბიძინა, ნუ გენანებათ მოჭრით ეს თავიც და ხალხი შვებით ამოისუნთქებს. მოგვეცით შანსი,იქნებ ვივარგოთ, ხომ იყო საქართველოს ისტორიაში უარესი მდგომარეობა, მაგრამ მოვაღწიეთ დღემდე.

რაც შეეხება არქიტექტორების გაჯეჯილებას, ნეტამც ეგრე იყოს...დაიმახსოვრეთ, იქ, სადაც არქიტექტურა და ქალაქგეგმარება აყვავებულია, ქვეყანა შენდება, ხოლო თუ ქვეყანა შენდება— ყველა კარგად იქნება.

არქიტექტურისა და არქიტექტორების მიმართ უსამართლო დამოკიდებულების გარდა, მთლიანად ვეთანხმები ბ-ნ ა. საკანდელიძის მიერ დაყენებულ საკითხს მშენებლობის სამინისტროს აღდგენის თაობაზე.

მაგრამ მშენებლობის სამინისტროს აღდგენა არ იკმარებს, საქმის გასაკეთებლად. არის ისეთი არქიტექტურული საქმიანობა, რომელიც ქვეყნის კულტურის შემადგენელი ნაწილია და რომლის გარეშე მშენებლებიც უსაქმურად დარჩებიან. საქმე ეხება ქვეყანაში არქიტექტურული საქმიანობის მოწყობას, ეს ისევე აუცილებელია ქვეყნისათვის, როგორც იურიდიული საქმიანობის, განათლების სისტემის თუ სამედიცინო მომსახურების მოწყობა, რომელიც გამსჭვალავს მთელ საზოგადოებას; ასევე მთელი ქვეყანა, დიდი ქალაქებიდან მცირე ქალაქებამდე და სოფლებამდე მოცული უნდა იყოს არქიტექტურული საქმიანობით. ამავე დროს აუცილებელია საქართველოსთვის განსახლების სრულყოფილი სისტემის შექმნა. ეს სისტემაში მოიყვანს მოსახლეობის სწორ გადანაწილებას მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. მათ სრულ მომსახურებას, საწარმოთა სწორ გადანაწილებას, დასაქმებისა და მომსახურების სრულყოფილი დონეების შექმნას. სხვანაირად შეუძლებელი იქნება მსოფლიოში დღეს აღიარებული, დასახლებების მდგრადი განვითარების სისტემის შექმნა. მომავალ თაობებს უნდა დავუტოვოთ განვითარების შესაძლებლობა.

**გაგრძელება მე-10 გვერდზე**

# გურამ ოდიშარია მაღალმთიან რაიონებს სტუმრობდა

ეკა ირემაშვილი



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია მთელი ზაფხულის განმავლობაში საქართველოს რეგიონებში მოგზაურობდა. ორიოდე დღის წინ კულტურის მინისტრმა ომალო, დართლო და ჭეშო – საქართველოს თითქმის ყველა მაღალმთიანი რაიონი მოინახულა.

თუშეთში ვიზიტის ფარგლებში მინისტრი გურამ ოდიშარია და მინისტრის მოადგილეები ალექსანდრე მარგიშვილი და მარინე მიზანდარი ქვემო და ზემო ომალოს, დართლოსა და ჭეშოს ესტუმრნენ.

მინისტრმა თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში ვიზიტორთა მომსახურების ცენტრი, ექსპოზიცია – ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური მასალა დაათვალიერა და თანამშრომლებს შეხვდა.

გურამ ოდიშარია შეხვდა სოფელ ჭეშოსა და ომალოს მოსახლეობასაც. მან პატარებს საჩუქრად გადასცა სასკოლო ინვენტარი და მოინახულა მესაზღვრეები. მინისტრი პირადად ესტუმრა თუშეთის სასაზღვრო პოლიციის მე-5 სამმართველოს ლაგოდეხის მე-7 სექტორს და მადლობა გადაუხადა თითოეულ მესაზღვრეს სამშობლოს წინაშე გაწეული სამსახურისთვის. გურამ ოდიშარიამ მესაზღვრეებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოცემული წიგნები გადასცა. დელეგაციამ ასევე მოინახულა ომალოს ბიბლიოთეკა, რომელიც ამ დროისთვის არ ფუნქციონირებს, თუმცა წიგნების მწირ ფონდს ინახავს.

ომალოდან გურამ ოდიშარია სოფელ დართლოს ესტუმრა. მინისტრმა მოინახულა სოფელში მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოები, შეხვდა ადგილობრივ მოსახლეობას, სადაც ისაუბრეს არსებულ პრობლემებსა და დართლოსა და სხვა მაღალმთიანი სოფლის დაცარიელების თავიდან აცილების მექანიზმებზე. დელეგაციამ დაათვალიერა დართლოს საბჭეო – ტრადიციული სასამართლო. დღემდე შემორჩენილი ნახევრადწრიულად განლაგებული ქვის სკამები ღია ცის ქვეშ, რომელიც 12 უხუცესი მსაჯულისთვის იყო განკუთვნილი.

# თბილისში ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

4 და 5 სექტემბერს საქართველოს დედაქალაქი ქრისტიანული პოეზიის რიგით მესამე ფესტივალს უმასპინძლებს. ,,წმინდა ნინოს ჯვარი" – ასე ეწოდება ღონისძიებას, რომელიც საქართველოს მწერალთა სახლში და საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართება.

როგორც „ახალ თაობას" საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა ნათია გოგუაძემ განუცხადა, ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი 4 სექტემბერს გაიხსნება და საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში, რომელიც სამების ტაძრის პირველ სართულზე მდებარეობს, საფესტივალოდ წარმოდგენილი ლექსების კითხვა მოეწყობა.

5 სექტემბერს ფესტივალი უკვე საქართველოს მწერალთა სახლში გადაინაცვლებს, სადაც ფესტივალში გამარჯვებულ ავტორთა დაჯილდოება გაიმართება. ამავე დღეს საფესტივალოდ გამოცემული კრებულების „წმინდა ნინოს ჯვარი, კრებული მე-3" და „წმინდა ნინო ქართულ პოეზიაში" წარდგინებაა დაგეგმილი.

ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის ძირითადი მხარდამჭერია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ასევე მხარდამჭერები არიან თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი, საქართველოს მწერალთა სახლი და საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი.

საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრი დაარსებიდან არაერთ კულტურულ ღონისძიებას მასპინძლობს, თუმცა ამავე დროს ეს სივრცე სხვადასხვა პრობლემურ საკითხზე მსჯელობასაც ეთმობა. კავშირ ,,21-ე საუკუნის" ორგანიზებით, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გაიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირთა შეხვედრა საზოგადოების წარმომადგენლებთან. შეხვედრა მიეძღვნა 17 მაისის აქციის დარბევასთან დაკავშირებულ და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს.

# ზემო სვანეთში ქარიშხალმა ტაძარი დააზიანა

ეკა ირემაშვილი

4 სექტემბერს სრულიად საქართველო ციკლონის მოახლოებას ელოდება, თუმცა არც მანამდე გაუარესებულმა ამინდმა დააყარა კარგი დღე საქართველოს რეგიონებს. ქარიშხალმა ზემო სვანეთში X საუკუნის ტაძრის სახურავი მთლიანად დააზიანა.

ტაძარი ზემო სვანეთში, უშგულის თემის სოფელ ჩაჟაში მდებარეობს. X საუკუნის მაცხოვრის ეკლესიის სახურავი მთლიანად დაზიანებულია. ინფორმაცია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ უკვე გაავრცელა. სააგენტომ ადგილზე სპეციალისტებიც უკვე გაგზავნა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში განმარტეს:

– ზემო სვანეთში, უშგულის თემის სოფელ ჩაჟაში სპეციალური ჯგუფი გაემგზავრა ძეგლის დაზიანების მასშტაბისა და მოცულობის გამოსაკვლევად. ფრესკების გადაუდებელი დაცვის მიზნით, სამუშაო ჯგუფმა ტაძარი დროებითი ტენტით გადახურა. იმისთვის, რომ მოახლოებულმა ზამთარმა ტაძრის ფიზიკური სიმყარე და ინტერიერში არსებული ფრესკების მდგომარეობა არ დაამძიმოს, ძეგლზე გადაუდებელი გადახურვის სამუშაოები წელსვე განხორციელდება.

ჩაჟაშის მაცხოვრის ეკლესია გარდა იმისა, რომ უძველესი არქიტექტურით გამოირჩევა, ის XVII საუკუნის ფრესკებით და მის ფასადზე გამოსახული „ამირანდარეჯანიანის" მხატვრობით გამორჩეულად არის მიჩნეული.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო–აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

სპორტი

# სააპელაციო კომიტეტმა თორნიკე გორგიაშვილს თავისუფალი აგენტის სტატუსი მიანიჭა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სააპელაციო კომიტეტმა ფეხბურთელ თორნიკე გორგიაშვილის მოთხოვნა დააკმაყოფილა. კერძოდ, სააპელაციო კომიტეტმა, რომლის თავმჯდომარე თამარ წერეთელი გახლდათ, ხოლო წევრები – დავით ქარსელაძე, გიორგი ციხისთავი, გადაწყვიტა:

1. ფეხბურთელ თორნიკე გორგიაშვილის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს 2013 წლის 8 აგვისტოს ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის კომიტეტის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. შეწყდეს 2012 წლის 20 აგვისტოს ხელშეკრულება დადებული სკ,,ზესტაფონთან" და ფეხბურთელ თორნიკე გორგიაშვილთან;
4. ფეხბურთელ თორნიკე გორგიაშვილს მიენიჭოს თავისუფალი აგენტის სტატუსი;
5. ფეხბურთელის მიერ 2013 წლის 15 აგვისტოს გადახდილი საქმის განხილვის ხარჯი 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, დარჩეს ფეხბურთის ფედერაციის ბიუჯეტში;
6. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თორნიკე გორგიაშვილსა და „ზესტაფონს" შორის დავა 2013 წლის 5 ივლისს დაიწყო, როდესაც ფეხბურთელმა სფფ-ს სტატუსისა და ტრანსფერის კომიტეტში შეიტანა საჩივარი. კომიტეტმა მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. თორნიკე გორგიაშვილმა სფფ-ს სააპელაციო კომიტეტს მიმართა. მისი მოთხოვნა თავისუფალი აგენტის სტატუსის აღდგენა და კლუბთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტა გახლდათ. რაც, როგორც უკვე მოგახსენეთ, სააპელაციო კომიტეტმა დააკმაყოფილა.

რაც შეეხება გადაწყვეტილების გასაჩივრების საკითხს, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ეს არის სპორტული თუ დამოუკიდებელი არბიტრაჟი, მიღებული გადაწყვეტილება უნდა სცნოს და აღასრულოს ეროვნულმა სასამართლომ. ამ შემთხვევაში ფეხბურთელი ითხოვდა თავისუფალი აგენტის სტატუსის აღდგენას, რომელიც მას სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით მიენიჭა. ამ საქმის ეროვნული სასამართლოსთვის გადაცემა შეუძლებელია, რადგან დავაში არ ფიქსირდებოდა თანხის დაკისრების ან ხელშეკრულების სხვაგვარად შეწყვეტის მოთხოვნა, ამ შემთხვევაში საქმის გასაჩივრება ვერ მოხდება. საქართველოს არბიტრაჟის შესახებ კანონიდან გამომდინარე, შეუძლებელია არბიტრაჟმა განიხილოს თავისუფალი აგენტის სტატუსის მინიჭების საკითხი. რადგან ქართული კანონმდებლობით, მისი აღსრულება და ცნობა უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ, რომელიც თავის იურისდიქციას ვერ ავრცელებს სფფ-ზე.

სააპელაციო კომიტეტის მიერ მინიჭებული გადაწყვეტილება დაუყონებლივ შედის ძალაში.

## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის–ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# დინამომ გურიასთან წაიფორხილა

**გურია (ლანჩხუთი) – დინამო (თბილისი) 2:1**

ქობულეთი. ჩელე არენა
1:0 ისიანი (45), 2:0 შენგელია (74), 2:1 მერებაშვილი (85)

**გურია**: ბობლიაშვილი, ჩუენსუ, იობაშვილი, ჩიკვილაძე, ჯიშკარიანი, ჯოჯუა (ქეიშვილი 84), კილაძე (დარჩიძე 67), კუკულაძე (შენგელია 52), კოშკაძე, შალამბერიძე, ისიანი

**დინამო**: ზარქუა, კვარაცხელია, გველესიანი, ხმალაძე, მერებაშვილი, სეთურიძე, ხურცილავა, ხოჭოლავა (შინდაგორიძე 83), ვუო (ლექვთაძე 58), გოგა (მიქაბერიძე 75), გლიშიჩი

„დინამო“ გურულებს შესუსტებული შემადგენლობით ეწვია. ესპანელი ლეგიონერები – ჩისკო და უსტარიცი ტრავმირებული იყვნენ, ხოლო ლორიას, ძარიას, გრიგალაშვილისა და დვალის ამბავი გაურკვეველი იყო. როგორც მატჩის შემდეგ დინამოელთა მწვრთნელმა დუშან უჰრინმა განაცხადა, ფეხბურთელები დასჯილი არიან.

და მაინც მატჩი სტუმართა უპირატესობით დაიწყო და უკვე მე-2 წუთზე მეკარესთან პირისპირ ხოჭოლავა აღმოჩნდა, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა. „დინამო“ კი უტევდა, მაგრამ მე-10 წუთზე შალამბერიძის დარტყმის შემდეგ ბურთი საჯარიმოში მდგომ დინამოელს ხელზე მოხვდა, არბიტრმა წესის დარღვევა არ დააფიქსირა და გურული ქომაგებისაგან რისხვაც დაიმსახურა. ამის შემდეგ მერებაშვილმა ორჯერ დატოვა ვუო კარგ პოზიციაში, მაგრამ კოტდივუარელმა ფორვარდმა ვერც ერთხელ ვერ იხეირა.

ლანჩხუთელებმა სიტუაცია გამოასწორეს და უკვე თავად გაიწიეს მეტოქის კარისკენ. ერთ-ერთ მომენტში „გურიას“ თავდამსხმელ ისიანს საჯარიმოში ხელი ჰკრეს... სირიელი არბიტრის სასტვენი ამჯერადაც დუმდა და ამას გურული ქომაგების მორიგი განრისხება მოჰყვა.

29-ე წუთზე არბიტრმა „დინამოს“ საჯარიმოში თავისუფალი დარტყმა დანიშნა, ჩიკვილაძემ ბურთი ცოცხალ კედელს მოარტყა, გადმოვარდნილ ბურთთან ყველას კოშკაძემ დაასწრო და მცირედით ააცილა ზარქუას კარს. მალევე, გიორგი მერებაშვილი, ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე, რამდენიმე მეტოქეს გასცდა და საჯარიმოს მისადგომებიდან ძლიერად დაჰკრა, მაგრამ ბობლიაშვილმა ბურთი მოიგერია.

35-ე წუთზე მარჯვენა ფლანგიდან ლანჩხუთელთა შეტევის დროს საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი მცველს მოხვდა ხელზე... მთავარ მსაჯს არც ამჯერად მოუხდენია რეაგირება. წინა ორ ეპიზოდზე თავს ვერ დავდებთ, მაგრამ ამჯერად მსაჯს მართლაც მართებდა პენალტის დანიშვნა.

ტაიმის ბოლოს მარჯვენა ფლანგზე კარგად ითამაშა ლანჩხუთელთა კაპიტანმა კუკულაძემ, რომელმაც საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი მცველებს ისიანმა დაასწრო და ზარქუას ახლო კუთხეში ერთი შეხებით გაუტანა – 1:0.

მეორე ტაიმში უპირატესობას „გურია“ ფლობდა, ზარქუას რამდენჯერმე მოუხდა თამაშში ჩართვა. 74-ე წუთზე „გურიამ“ ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა: მარცხენა ფლანგზე ჯიშკარიანმა ბოლომდე იბრძოლა, შემდეგ საჯარიმოში უყურადღებოდ დატოვებულ ისიანს ზუსტი პასი მისცა, მანაც ბურთი მეკარეს თავზე გადაუგდო, მაგრამ მცველმა კარის ხაზიდან გამოიტანა, დამატებაზე კი შეცვლაზე შემოსულმა შენგელიამ ზარქუას შანსი არ დაუტოვა – 2:0.

მატჩის ბოლოს „დინამომ“ ანგარიშის შემცირება მაინც შეძლო: მერებაშვილმა ბურთი ცენტრში მიიღო, მიუახლოვდა საჯარიმოს და ძლიერი დარტყმით ბობლიაშვილი უსაქმოდ დატოვა.

არბიტრმა ძირითად დროს 4 წუთი დაამატა, მაგრამ გურულებმა თამაშის სასურველი ანგარიშით დამთავრება მაინც შეძლეს და დამსახურებული სამი ქულაც მიითვალეს.

პ.ს. პენალტის მოთხოვნისას საქმის გარჩევაში გურულთა კლუბის ხელმძღვანელობაც ჩაერთო, ხოლო ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ასისტენტს ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა. როგორც გაირკვა, მსაჯებმა გუნდის ადმინისტრატორ გოჩა იმნაიშვილს ბარათი ჩამოართვეს და ფედერაციაში წაიღეს.



**დუშან უჰრინი:**

– ოპონენტს ვულოცავ გამარჯვებას. ჩემ გუნდს რაც შეეხება დასაწყისში 4 კარგი საგოლე მომენტი შევქმენით, თუმცა მეტოქის კარის აღება ვერ მოვახერხეთ. თამაში ისე წარიმართა, მეტოქემ გაგვიტანა, ჩვენ ჩვენი მხრიდან ვცადეთ გოლის გატანა, თუმცა მალევე მეორე ბურთიც გავუშვით და კიდევ უფრო გაგვირთულდა მდგომარეობა. რაც შეეხება ფეხბურთელებს, რომლებიც დღეს შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ – ჩისკოს და უსტარიცს ტრავმები აქვთ, დანარჩენები კი მეორე გუნდში არიან გადაყვანილები.

**დავით მახარაძე:**

– კარგი თამაში იყო. მოგებას ნამდვილად არ ვგეგმავდით, ქულაც დამაკმაყოფილებელი იქნებოდა ჩვენთვის. მნიშვნელოვანი ქულები ავიღეთ. „დინამო“ გადახალისებული შემადგენლობით იყო ჩამოსული, მჭიდრო კალენდრიდან გამომდინარე მეტოქე ცოტა გადაღლილიც მომეჩვენა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩიხურა | 4 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 9 |
| 2.ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 7 |
| 3.დილა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| 4.ტორპედო | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| 5.სიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 6 |
| 6.მერანი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| 7.გურია | 4 | 2 | 0 | 2 | 3:6 | 6 |
| 8.მეტალურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:6 | 5 |
| 9.დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| 10.ზუგდიდი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| 11.ზესტაფონი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | 1 |
| 12.სპარტაკი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |

**ბომბარდირები:** გრიგოლ დოლიძე (დილა), დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 3-3 ბურთი; ლაშა თოთაძე (სიონი), ელგუჯა ლობჯანიძე, გიორგი კორიფაძე (ორივე ვიტ ჯორჯია), ნიკა საბანაძე, თორნიკე კაპანაძე (ორივე ტორპედო), ირაკლი მოდებაძე (დილა), გიორგი დათუნაიშვილი (ჩიხურა) – 2-2.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# თემურ ქეცბაია: „საქართველოს ნაკრებისთვის მდუღარე წყალს დავლევ“

**6 და 10 სექტემბერს საქართველოს ნაკრებს ორი მნიშვნელოვანი მატჩი ელის. 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე თემურ ქეცბაიას გაწვრთნილი გუნდი საფრანგეთსა და ფინეთს უმასპინძლებს.**

**გუნდმა ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ შეკრება დაიწყო და რამდენიმე ვარჯიშიც ჩაატარა, ნაკრების მწვრთნელმა კი პრესკონფერენცია გამართა.**

**გეტყვით, რომ სიაში რამდენიმე ცვლილებაა: ლევან მჭედლიძე დაშავებულია და მის ნაცვლად გამოძახებულია გორის „დილას“ ფორვარდი ირაკლი მოდებაძე. დავით კვირკველიასა და გიორგი ილურიძის ნაცვლად კი გიორგი ფოფხაძე და გრიგოლ დოლიძე არიან გამოძახებული.**

**ცვლილებაა სტადიონთან დაკავშირებითაც. წინასწარ ცნობილი იყო, რომ საქართველო-ფინეთის მატჩი 10 სექტემბერს „მიხეილ მესხზე“ უნდა გამართულიყო, თუმცა ეს შეხვედრაც „დინამო არენაზე“ ჩატარდება — ისევე, როგორც ფრანგებთან თამაში.**



**თემურ ქეცბაია:**

– ჩემთვის ახალი ამბავი არ არის, რომ ნაკრებში გამოძახებული ყველა ფეხბურთელი არ ჩამოდის. სამწუხაროა, მაგრამ ის ბიჭები, რომლებიც დანარჩენებს ჩაანაცვლებენ, გუნდის დახმარებას შეეცდებიან. ორი, რთული მატჩისთვის ვემზადებით. საინტერესო დაპირისპირებები გველის. იმედია, გულშემატკივარი მხოლოდ საფრანგეთთან მატჩზე არ მოვა. ძალიან კარგი შანსი გვაქვს, რომ დიდი ხნის შემდეგ ქვეჯგუფში მე-3 ადგილი დავიკავოთ. ამის გაკეთება ადვილი ნამდვილად არ იქნება, თუმცა ყველანაირად ვეცდებით. მომავალ შესარჩევში კი მესამე ადგილი პლეი ოფში თამაშის უფლებას იძლევა. თუ გავითვალისწინებთ იმას, საიდან დავიწყეთ, ეს ჩვენთვის დიდი მიღწევა იქნება.

***– ნაკრების ორ წამყვან შემტევს, თორნიკე ოქრიაშვილსა და დავით თარგამაძეს ბოლო პერიოდში სათამაშო პრაქტიკა მოაკლდათ კლუბში.***

– სამწუხაროა, მაგრამ რას ვიზამთ. ზოგადად, ასეთი შემთხვევა ქართველ ფეხბურთელებში არაერთია. მაგალითად, სანდრო კობახიძე შეცვლაზეც კი არ შეჰყავთ „დნიპროში“, მაგრამ ნაკრებში ყველაფერს დებს და ერთ-ერთი საუკეთესოა.

***– რას იტყვით ქართული კლუბების მიერ ევროტურნირებზე ნაჩვენებ შედეგზე? რისი ბრალია ამგვარი შედეგი პლეი ოფში?***

– ყველამ ვიცით, რომ საქართველოში ფინანსები არ არის, თუმცა მთავარი ეს არაა. არსებობენ გუნდები, რომლებიც მათზე უფრო მაღალბიუჯეტიან კლუბებს ამარცხებენ. წელს ევროთასებზე ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა მაქსიმუმი გააკეთეს. იქამდე გავიდნენ, სადამდეც შეძლეს. სამწუხაროდ, რეალობა ასეთია და მას თვალი უნდა გავუსწოროთ. არავინ არ უნდა მოვატყუოთ, არ უნდა „დავაბოლოთ“ და არც სიურპრიზები შევპირდეთ. მოტყუებით საქმე არ გამოვა. 4 წელია ვამბობ, რომ ქართულ ფეხბურთში კატასტროფული დონეა. ხალხი უნდა ჩაერთოს ამაში, ვისაც ევალება. ფეხბურთი ნამდვილად არის იმის ღირსი, რომ ცოტ-ცოტა ყველამ დაეხმაროს. გორის „დილას“ მატჩზე „რაპიდთან“ მთელი სტადიონი გაივსო და 10.000 კაცი გარეთ იდგა. ბევრ რამეს შეუძლია 30.000 კაცი შეკრიბოს? ხალხს ფეხბურთი და სანახაობა უყვარს და ამის ნახვა უნდა სწორედ. სამწუხაროდ, ჩემი აზრი არავის აინტერესებს. ყაზახეთის მთავრობა ყველა გუნდს 3 მილიონს აძლევს სეზონის წინ და საერთოდაც, იქ ფეხბურთში 1 მილიარდი ჩადეს. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნისთვის არარეალური ციფრია. ბიზნესმენები უნდა მოვიდნენ და ფული ჩადონ ფეხბურთში, მაგრამ მოდიან კი არა, ვინც ახლაა, ისინიც გაქცევაზე არიან. არადა ტალანტების მეტი რაა ჩვენს ქვეყანაში. კიდევ კარგი, რომ ძველ დროსთან შედარებით ახლა ნორმალური მინდვრები მაინცაა და შედარებით კარგ პირობებში უწევთ ახალგაზრდებს ვარჯიში. ახლა ევროპაში ერთი ქართველი არ თამაშობს, თუ ჰოლანდიას არ ჩავთვლით. ყველა რუსეთისკენ მიიწევს.

***– ჩვენში სახელმწიფოს მხრიდან ფეხბურთის დახმარება ბევრმა აღიქვა კომუნისტურ მეთოდად. არადა, ვიცით, რომ მაგალითად, კვიპროსშიც ასეა.***

– ამ დროს კვიპროსს ისე, სასხვათაშორისოდ უყურებენ. რა კვიპროსი, რის კვიპროსიო, ამბობენ. არადა, ჩემპიონთა ლიგაა თუ ევროპის ლიგა, ჯგუფში შედიან. ყაზახეთის მაგალითი ავიღოთ: მთავრობა წლიურად სამ მილიონს აძლევს თითო კლუბს, მთლიანად სპორტში კი მილიარდს დებს. აქ მილიარდს არავინ ითხოვს, მაგრამ სულ ცოტა რაღაც ხომ შეიძლება გაკეთდეს? ადრე იყო საუბარი, ვერ აკეთებენ ვერაფერს, რადგან მთავრობის ეშინიათო. ხომ შეიცვალა ეს მთავრობა? ახლა ხომ აღარ ეშინია არავის არავისი.

***– საფრანგეთის ნაკრებთან გელით პირველი მატჩი. ბოლოს საქართველო ფრანგებს შინ 2006 წელს შეხვდა და უშანსოდ წააგო. მაშინდელ და ახლანდელ საფრანგეთს როგორ შეადარებდით?***

– არა მგონია ახლანდელ და ძველი საფრანგეთი დიდად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. წარსულის დაბრუნება არაფერს მოგვცემს. დღევანდელი საფრანგეთის ნაკრები არანაკლებ ძლიერია. გვინდა, რომ სტადიონზე მოსულ ხალხს იმედი პირველივე წუთიდან არ მოვუკლათ, არამედ ბოლომდე ჰქონდეს, თუნდაც, როგორც ეს ესპანეთთან იყო. დიდი მადლიერი ვარ გულშემატკივრის. ისინი ბოლომდე გვერდში გვიდგანან. ისიც სათქმელია, რომ სახლში ხშირად არ გვიწევს თამაში. ამხანაგური მატჩები ძირითადად უცხოეთში გვაქვს, რადგან აქ ჩამოსვლა არავის სურს. ყაზახეთში პირველ ტაიმში 5 შემტევი დავაყენე. მეორეში 3 თავდამსხმელი კიდევ გამოვუშვი, ბურთი დავღეჭეთ, იქით-აქეთ ვაგორავეთ, ბოლოს სახლშიც წამოვიღეთ, მაგრამ გოლი ვერ გავიტანეთ. საფრანგეთზე და ესპანეთზე საუბარიც ზედმეტია. ფინეთს და ბელარუსებს რომ მომენტების შექმნის საშუალება მივცეთ, ერთს კი არა სამს გაგვიტანენ. მე შემტევი ფეხბურთის მოყვარული ვარ. როცა ვთამაშობდი, მაშინაც გამუდმებით ვუტევდი, მაგრამ დღეს ჩვენს ნაკრებში ეს არ გამოდის. რეალობა ასეთია და რა ვქნათ. ათასნაირი ანალიზი გავუკეთეთ ჩვენს თამაშს. ყველაფერი ავწონ-დავწონეთ. ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ დღესდღეობით ამაზე მეტი არ შეგვიძლია, რაც პრაქტიკამაც აჩვენა.

***– ალექსანდრე ჩივაძის ნაკრები კარგ შედეგს აჩვენებს. ამ გუნდის ფეხბურთელებს რამდენად აქტიურად აკვირდებით და ხომ არ უნდა ველოდოთ მომდევნო მატჩებში მათ გამოძახებას?***

– ჩემი მოსვლის დღიდან ვთქვი, რომ ბევრ ახალგაზრდას მივცემდი თავის გამოჩენის საშუალებას და ჩემს სიტყვას ვასრულებ. მარტო საქართველოში კი არა, უცხოეთშიც დავდივარ მათი თამაშების სანახავად. თქვენ თვითონ შეხედეთ, 4 წლის განმავლობაში რამდენი ახალგაზრდა მოვიწვიე ნაკრებში. სამწუხაროდ, ბევრმა მათგანმა ვერ გაამართლა. ერთხელ კარგად ითამაშეს, შემდეგ ვეღარ. აქ ადგილი გარანტირებული არავის აქვს. თუ ვერ ითამაშებ, სხვა ჩაგანაცვლებს. საქართველოს ჩემპიონატიდან კარგი ფეხბურთელის მოყვანა რთულია, რადგან ძალიან დაბალი დონეა. ხომ ნახეთ, თავიანთ ქვეყნებში არც ერთი ჩვენი მეტოქე არ იყო გრანდი ევროპა ლიგის პლეი ოფში, მაგრამ ჩვენებმა მათთან დაპირისპირებაში საშინელი შედეგი აჩვენეს. ნაკრების ქვეჯგუფში კი ორი ისეთი გუნდია (ესპანეთი, საფრანგეთი), რომ არა მგონია, სადმე სხვაგან იყოს მსგავსი. მათთან სათამაშოდ დაბალი დონის ფეხბურთელი არ გამოგვადგება.

***– გასაგებია, თუ რატომ არაა სიაში ლევან ყენია. ჩავთვალოთ, რომ სანამ ნაკრების მწვრთნელი ხართ, მას არ გამოიძახებთ?***

– რატომ არის გასაგები?

***– კონფლიქტის გამო.***

– გეტყვით: ყენია, არა მხოლოდ როგორც პიროვნება, როგორც ფეხბურთელიც არ გვაკმაყოფილებს. გვყავს მასზე უკეთესები. ეროვნული ნაკრები ის ადგილი არაა, ვისაც როდის უნდა, მაშინ ჩამოვიდეს. როცა თვითონ დასჭირდება, ან რომელიმე კლუბიდან აკვირდებიან, მაშინ ჩამოვიდეს – ასე არ იქნება. ცივს კი არა, თუ უნდა მდუღარე წყალსაც დავლევ, როცა საქმე ნაკრებს ეხება, მაგრამ სწორია მისი საქციელი? თქვენ პრესკონფერენციაზე რომ გაგზავნიან და არ წახვალთ, უფროსი თუ დაგირეკავთ და ეტყვით, სხვა საქმე მქონდაო, გაგაჩერებთ სამსახურში? ვინმე გაიყიდოს და იმიტომ ვათამაშო? ასე არ მოხდება. აქ, იცით, 16-17 წლის ბიჭებს ათამაშებდნენ ნაკრებში, რომ გაეყიდათ. 16-17 წლის ბიჭებს! და ამ დროს საუკეთესო ფეხბურთელებს არ იძახებდნენ. ჩემთან ასე არასოდეს მოხდება.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**
ალკორკონი-უელვა ........................ 3:0

**იტალია. სერია ბ**
ტრაპანი-პესკარა ........................... 2:2
კაიზერი-კოტბუსი ......................... 2:2

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**
კანი-მეცი ........................................ 0:2

**პორტუგალია. ა ლიგა**
ეშტორილი-აკადემიკა .................. 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**
ატრომიტოსი-არისი ...................... 2:0
ოფი-პლატანიასი .......................... 0:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**
იაბლონეცი-ლიბერეცი .................. 0:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**
პოდბესკიჟიე-კორონა .................. 1:0

**დანია. სუპერლიგა**
რანდერსი-სონდერიისკე ............... 0:2

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**
სარანდი-არხენტინოსი .................. 0:0
ბელგრანო-რაფაელა .................... 3:2
ლანუსი-ოლიმპო .......................... 3:0

**ჩოგბურთი**

**ამერიკის ღია ჩემპიონატი**
**კაცები**
ფერერი-ტიპსარევიჩი . 7:6;3:6;7:5;7:6
ფედერერი-რობრედო ......... 6:7;3:6;4:6
რაონიჩი-გასკე ...... 7:6;6:7;6:2;6:7;5:7
ნადალი-კოლშრაიბერი 6:7;6:4;6:3;6:1

# ვინ დაიცავს თბილისის კულტურულ მემკვიდრეობას?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ჯაბა სამუშაია:**

– აქამდე ქალაქის ბიუჯეტში არასოდეს ყოფილა გამოყოფილი თანხები არქეოლოგიური კვლევისთვის, გარდა ერთჯერადი დაფინანსებებისა, როდესაც აბანოთუბნის მიმდებარე ტერიტორიის გამოკვლევისთვის მერიამ გარკვეული თანხები გამოყო. საკრებულოში შეიქმნება ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ამ და სხვა არქეოლოგიურ პრობლემებზე მონიტორინგს განახორციელებს.

არქეოლოგთა ჯგუფმა საკრებულოს ბიუჯეტში თბილისის არქეოლოგიური ძეგლების მოვლა-პატრონობისთვის თანხის გამოყოფა ითხოვა. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილს მიაჩნია, რომ ამგვარი მოთხოვნა ნამდვილად სამართლიანია.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილმა სწორედ იმ ჯგუფთან გადაწყვიტა შეხვედრა, რომელიც თბილისის არქეოლოგიური ძეგლებს სწავლობდა. შეხვედრის თემა თბილისის არქეოლოგიური ძეგლების მდგომარეობა იყო. შეხვედრაზე თბილისის ბიუჯეტში ქალაქის არქეოლოგიური ძეგლების მოვლა-პატრონობისთვის თანხის გამოყოფა და მათზე არსებული პრობლემების მოგვარების გზები განიხილება.

პრეზენტაცია საკრებულოში არქეოლოგმა და ეროვნული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა მერაბ ძნელაძემ წარმოადგინა. იგი თბილისის ძველი გალავნისა და 40 სებასტიელი მოწამის ეკლესიასთან აღმოჩენილი თბილისის უძველესი გალავნის მკვლევარია.

– თბილისს უდიდესი ისტორია აქვს, რომელმაც ქალაქის არაერთი არქეოლოგიური ძეგლი შემოინახა. ამ ძეგლებს კონსერვაცია და გამაგრება სჭირდება. საბედნიეროდ ის არის, რომ ბევრი ძეგლი დაგვიგროვდა. კარგი საქმე გაკეთდა, რომ გამოჩნდა გალავანი პუშკინის ქუჩაზე, მაგრამ მას დროული კონსერვაცია სჭირდება, როსტომ მეფის სასახლის აბანო უნიკალური ძეგლია, ადგილი, სადაც ზარაფხანა იყო. იქვე პირველი ქართული სტამბა იყო. დღეს მასში არის რესტორანი. განა შეიძლება?! ნარიყალას, აბანოთუბანს, ვახტანგ გორგასლის დროინდელ გალავანსა და აბანოებს უფრო მეტი მოვლა-პატრონობა უნდა. მიმაჩნია, რომ დედაქალაქის ბიუჯეტში ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი თანხა არქეოლოგიური ძეგლებისთვის, რომელიც ქალაქს მისცემს საშუალებას, უპატრონოს თავის ძეგლებს, უპატრონოს თავის კულტურულ მემკვიდრეობას.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი შიხიაშვილი:**

– საკრებულომ თბილისის ისტორია აუცილებლად უნდა შეისწავლოს და ამისთვის ბიუჯეტიდან ფულის გამოყოფა აუცილებელია. დედაქალაქი არის მიმართული იმისაკენ, რომ გახდეს ტურიზმისთვის ბევრად უფრო მიმზიდველი ქალაქი. ამისათვის მიგვაჩნია, რომ ეს ერთ-ერთი პრიორიტეტია, რომ ჩვენი კულტურის, ჩვენი წარსულის ჯეროვანი შესწავლისა და მისი წარმოჩენით, ტურისტებისთვის უფრო მეტად საინტერესო იყოს ჩვენი ქალაქი. ჩვენ დავგეგმეთ შეხვედრა, რათა მოხდეს შესწავლა იმისა, თუ რა პრობლემები აქვს არქეოლოგიურ ძეგლებს და რაში სჭირდებათ დახმარება. ასევე, განიხილეს ძეგლების მოვლისთვის საჭირო თანხა და ბიუჯეტის შესაძლებლობები. არქეოლოგიური ძეგლების მოვლისთვის დღესდღეობით ბიუჯეტიდან 50 ათას ლარამდე იხარჯება, რაც ნამდვილად მცირე თანხაა.

შეჩერებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა და არასათანადო ყურადღებამ გამოიწვია ის, რომ თბილისის უძველესი აბანო და ვახტანგ გორგასლის დროინდელი გალავნის ნაშთები განადგურების პირასაა. უძველესი ძეგლების რეკონსტრუქციისთვის საჭირო თანხა თბილისის განვითარების ფონდს უნდა გამოეყო. საკითხი კი ამ დრომდე გადაწყვეტილი არ არის.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა სამუშიამ თბილისის საკრებულოს ინიციატივით მიმართა, რომ ქალაქში არქეოლოგიური გათხრების დაფინანსებისთვის თანხა თბილისის ბიუჯეტიდან გამოიყოს.

აბანოთუბანში 40 წმიდა სებასტიელი მოწამის სახელობის მონასტრის ტერიტორიაზე მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაოები გასულ წელს უნიკალური აღმოჩენით დასრულდა. არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის მერაბ ძნელაძის თქმით, აღმოჩენილმა მასალებმა დაადასტურა, რომ საქართველოს დედაქალაქის თბილისში გადმოტანამდე აქ დასახლება უნდა ყოფილიყო:

– მონასტრის ტერიტორიაზე ვახტანგ გორგასლის დროინდელი გალავანი აღმოჩნდა, რომლის ქვეშაც კიდევ უფრო ძველი – პირველი საუკუნის გალავანი და კარიბჭე დაფიქსირდა. აღმოჩენა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ აქამდე თბილისის დედაქალაქობის პირველი ეტაპის ამდაგვარი სახე უცნობი იყო. ეს დედაქალაქის წარსულის კვლევისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია. თუ აქამდე მიიჩნეოდა, რომ დედაქალაქი მე-5 საუკუნის ბოლოს, ვახტანგ გორგასლის მიერ აშენდა, ახლა დასტურდება, რომ მანამდე აქ დასახლება უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, არქეოლოგიური სამუშაოებისას აღნიშნულ ტერიტორიაზე აბანოს ნაშთები და ანტიკური ხანის უამრავი ნივთი აღმოჩნდა. აღმოჩენილ იქნა გრანდიოზული აბანო. მსგავსი საბანაო აუზები აქამდე არც ყოფილ დედაქალაქ მცხეთაში და არც სხვაგან ყოფილა მიგნებული. ეს დეტალიც ადასტურებს, რომ აქ სერიოზული დასახლება უნდა ყოფილიყო – ანუ დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადმოტანის წინაპირობა არსებობდა.



თბილისის 40 წმინდა სებასტიელი მოწამის სახელობის მონასტრის ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები ეროვნული მუზეუმისა და საპატრიარქოს ერთობლივმა არქიტექტურულმა ჯგუფმა აწარმოა. სამუშაოები დედაქალაქის მერიის დაფინანსებით, სამი წლის წინ ზაფხულში დაიწყო.

აღმოჩენის შემდეგ, გამოითქვა მოსაზრება, რომ აბანოთუბანში „თბილისის მუზეუმი" შეიქმნებოდა. მერაბ ძნელაძემ მაშინ განაცხადა:

– აბანოთუბანში, 40 წმინდა სებასტიელ მოწამეთა მონასტრის ტერიტორიაზე, ახალი მუზეუმი გაიხსნება. აქ „თბილისის მუზეუმი" შეიქმნება და მასში ყველა ის უნიკალური ექსპონატი განთავსდება, რომელიც ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოებისას იქნა აღმოჩენილი. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს მსოფლიო დონის მუზეუმი იქნება.

მონასტრის ტერიტორიაზე ახალი მუზეუმის გახსნის შესახებ ინფორმაცია მაშინ თბილისის განვითარების ფონდშიც დაადასტურეს. ფონდის ხელმძღვანელის, გიორგი საბანაძის თქმით, სამუშაოებისას იმდენად ბევრი უნიკალური ნივთი იქნა აღმოჩენილი, რომ მათ განსათავსებლად ახალი მუზეუმის შექმნის ინიციატივა ნამდვილად განიხილება.

– ამ საკითხზე სპეციალისტებთან კონსულტაციებს გავივლით და ერთობლივი კონცეფცია შემუშავდება, – განაცხადა გიორგი საბანაძემ.

ასეთი მნიშვნელოვანი აღმოჩენის შემდეგ გაჩნდა აზრი, რომ შესაძლებელი იყო, ამ აღმოჩენას თბილისის ისტორიაც შეეცვალა:

– არქეოლოგიური გათხრები, რომელმაც შესაძლოა თბილისის ისტორია შეცვალოს, დასრულებულია. აბანოთუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარე სამუშაოებით ირკვევა, რომ ამ ტერიტორიაზე ვახტანგ გორგასლის მეფობამდეც არსებობდა ციხე-ქალაქი. ამას ადასტურებს აღმოჩენილი აბანოები, რომელიც I-II საუკუნით თარიღდება. არქეოლოგებმა ამავე ადგილას III-IV საუკუნეების სამარხსაც მიაკვლიეს. აბანოთუბანში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ბოლო ეტაპზე აღმოჩენილ უნიკალურ ნივთებს შორის არის საკმაოდ დიდი მოცულობის ქვევრი, რომელიც III-IV საუკუნეებით თარიღდება და სხვა ადრე აღმოჩენილი ქვევრებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. მისი რესტავრაცია სპეციალისტებმა უკვე დაიწყეს. ნაპოვნია ასევე სხვადასხვა სახის ჭურჭელი. უახლოეს მომავალში ამ ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ მუზეუმის გაკეთება იგეგმება. აქ ჩემი აზრით, შეიქმნება უნიკალური მუზეუმი. ეს იქნება როგორც ღია ცის ქვეშ მუზეუმი, ასევე შენობაში განთავსდება უბრწყინვალესი არტეფაქტები, რომლებიც ახლა დამუშავების პროცესშია ეროვნულ მუზეუმში და ალბათ, როცა ეს ყველაფერი გადაწყდება აქ განთავსდება ისინი, – აცხადებდა არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი მერაბ ძნელაძე, თუმცა, რამდენად განხორციელებადია „თბილისის მუზეუმის" შექმნა, ეს ჯერჯერობით გაურკვეველია.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი საქართველოში საკმაოდ აქტუალურია. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა, საუბარია არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაზე თუ არა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე მსჯელობა ივნისში გაიმართა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებისა და საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მკვლევართა ჯგუფი თსუ მეცნიერ-თანამშრომლებსა და სტუდენტებს შეხვდნენ. შეხვედრაზე საქართველოში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით გაწეული სამუშაოს, ასევე, ჩატარებული მიზნობრივი ინვენტარიზაციების შედეგებზე ისაუბრეს.

– 2012 წელს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააღრიცხვო დოკუმენტაციის ტესტირების მიზნით, ატენის ხეობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პილოტური ინვენტარიზაცია მოეწყო. მასში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის მიმართულების წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლები და სტუდენტები მონაწილეობდნენ. ადგილობრივ თემთან მჭიდრო თანამშრომლობით 120-ზე მეტი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში გამოვლინდა, რომელზეც ძეგლის სტატუსის მინიჭების პროცედურა მიმდინარეობს, – ითქვა შეხვედრაზე.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, იუნესკოს 2003 წლის „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის" კონვენციის განმარტებით, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა წარმოადგენს საზოგადოების, ცალკეული ჯგუფებისა და ზოგიერთ შემთხვევაში, კერძო პირების მიერ მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად აღიარებულ ენასა და დიალექტებს, ადათ-წესებს, ცოდნასა და გამოცდილებას – ასევე მათთან დაკავშირებულ ინსტრუმენტებს, საგნებს, არტეფაქტებსა და კულტურულ სივრცეებს.

# რევაზ ინანიშვილის კონკურსში საუკეთესოებს დააჯილდოებენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

წარმოების მიღების დადასტურება ავტორს გაეგზავნება ელექტრონულ ფოსტაზე. განსახილველად დაიშვება მხატვრული ჟანრის (ნოველა, მოთხრობა), რომელიც აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს. საკონკურსო ნაწარმოები – ერთი მოთხრობა 2013 წლის 20 ნოემბრამდე უნდა გაიგზავნოს ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის" რედაქციის ელექტრონულ ფოსტაზე. საკონკურსოდ უნდა გადმოიგზავნოს ორი ფაილი. ერთი ფაილით – ნაწარმოების დევიზი, მეორე ფაილით კი – დევიზი, ავტორის მოკლე ბიოგრაფია, ფოტოსურათი, მისამართი და ტელეფონი. კონკურსზე დაშვებული ყველა ნაწარმოები იღებს საკონკურსო კომისიის შეფასებას. შეფასებები არ ქვეყნდება და კონკურსის მონაწილეებს არ ეგზავნება. ნებისმიერ ეტაპზე კონკურსში მონაწილე ნაწარმოებების ავტორები უცნობია ყველასთვის, გარდა კონკურსის ორგანიზატორისა. გამარჯვებული ნაწარმოებები გამოქვეყნდება ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულში". ავტორს ეკრძალება გამარჯვებული ნაწარმოებების გამოქვეყნება სხვა ბეჭდურ გამოცემებში კონკურსის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში, – ამბობენ თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრში.

ქართველი მწერალი რევაზ ინანიშვილი გამორჩეული იყო თავისი ხელწერით. მისი ნაწარმოებები არასოდეს ტოვებდა გულგრილს მკითხველს. საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში დაბადებული მწერალი სოფლად მხოლოდ ხუთი კლასის დამთავრებამდე ცხოვრობდა. 37 წელს იგი ოჯახთან ერთად საცხოვრებლად თბილისში ჩამოვიდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლას დის ოჯახის სიდუხჭირის გამო დაანება თავი და მუშაობა დაიწყო „სამგორის" არხის მშენებლობაზე. სწავლას კი მოგვიანებით დაუბრუნდა და დაასრულა კიდეც. დაოჯახების შემდეგ ოთხი წელი ცხოვრობდა ლიტერატურული შრომით. სხვადასხვა წლებში მწერალი მუშაობდა საბავშვო გამომცემლობა „ნაკადულში", კინოსტუდია „ქართული ფილმის" სასცენარო განყოფილებაში, მწერალთა კავშირში. სიცოცხლის ბოლომდე იყო ჟურნალ „დილას" რედაქტორი. პირველი მოთხრობა „სახსოვარი" გამოაქვეყნა ალმანახ „პირველ სხივში", ხოლო პირველი კრებული იყო „პირველი მოთხრობები". წიგნისათვის „შორი თეთრი მწვერვალი" მიენიჭა რუსთაველის სახელობის პრემია. კინოფილმმა „ქვიშანი დარჩებიან" სცენარისთვის მწერალს მინისტრთა საბჭოს პრემია „ხუთწლედის მატიანე" მიენიჭა. რევაზ ინანიშვილს გამოცემული აქვს მრავალი წიგნი. მისი სცენარების მიხედვით, გადაღებულია ფილმები „ნატვრის ხე" ლეონიძის მოთხრობის მოხედვით, „ქვიშანი დარჩებიან", „არდადეგები", „დედუნა", „ჩირიკი და ჩიკოტელა", „კაცები". მწერლის ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, გერმანულ, ბულგარულ, სომხურ და სხვა ენებზე. რევაზ ინანიშვილი 65 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

როგორც კონკურსის ორგანიზატორები აცხადებენ, რევაზ ინანიშვილის სახელობის ერთი მოთხრობის კონკურსში გამარჯვებულებს პრემია გადაეცემათ ყოველწლიურად, 20 დეკემბერს, რევაზ ინანიშვილის დაბადების დღეს. კონკურსის საპრემიო ფონდი შეადგენს 1000 ლარს, რომელიც ასე ნაწილდება: პირველი პრემია – 500 ლარი; მეორე პრემია – 300 ლარი; მესამე პრემია – 200 ლარი.

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ჯაშუშის ძველებური სახელწოდება; 2. სახელმწიფო ევროპაში; 3. უბანი თბილისში; 4. ნიჩბოსანთა სპორტული ნავის მოძრავი სკამი; 5. თამბაქოს წარმოების ერთ-ერთი ცენტრი თურქეთში; 8. აჭარული ხის სახლი; 9. ფრინველის საჭერი მახე; 12. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 13. ხელით სასროლი ფეთქებადი ჭურვი; 16. მდინარე აშშ-სა და მექსიკაში; 17. მეწარმე სოფლად; 19. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 20. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი.

**თარაზულად**: 6. იტალიელი მწერალი, დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 7. ამა თუ იმ ადგილის ჰავა, ამინდის რეჟიმი; 8. მდინარე ზუგდიდში; 10. კარაქის შესადღვები ძველებური ხის ჭურჭელი; 11. მარცვლეულის შესანახი ძველებური ხის ნაგებობა; 14. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური წარმოდგენა; 15. მსხვილი საკარმიდამო მამული ლათინურ ამერიკაში; 18. ყინულის ძველი ქართული სახელწოდება; 21. მაღალფეხიანი ელექტროსანათი მოწყობილობა; 22. ალპინისტთა გამყოლი, მეგზური ჰიმალაებში; 23. ქალაქი ინგლისში, სადაც ყოველწლიურად იმართება სამეფო დოღი; 24. შვეიცარული ფარმაცევტული ფირმა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პომოლოგია; 2. კუბრიკი; 3. ნამაზი; 4. ჰეიგი; 5. არაგვი; 11. სხალთა; 12. დონორი; 14. „ნასა"; 16. „რუსთავი"; 17. სლალომი; 19. სეკანსი; 21. მუაში; 22. „პარმა".

**თარაზულად:** 6. მოლეკულა; 7. „მაესტრო"; 8. გროგი; 9. ოლდემი; 10. ზაქსი; 13. სიონი; 15. გრენლანდია; 18. მატროსი; 20. ლემა; 21. მანათი; 23. პინკერტონი; 24. მახვში.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ნიორაძე; 2. კიშლაკი; 3. „რისლინგი"; 4. კუვეზი; 5. ზუგდიდი; 8. მინკუსი; 9. პარალიზი; 12. ნოკდაუნი; 13. ერლიფტი; 16. ჟოეკვარა; 17. კანკანი; 19. იკორთა; 20. ბაწარა.

**თარაზულად:** 6. ჰინდიკუში; 7. სულგუნი; 8. მულინე; 10. ფარგალი; 11. მიზა; 14. „გორდონსი"; 15. ოკულისტი; 18. კოზაკი; 21. კატრანი; 22. „სააბი"; 23. ალპები; 24. ზამინდარი.

# არქიტექტორებმა მართლა გაიჯეჯილეს?

დასაწყისი მე-7 გვერდზე

მე-13 წელიწადია თბილისს არ აქვს განვითარებისა და რეკონსტრუქციის გრძევადიანი გენერალური გეგმა. ქალაქის ვიცე-მერი სევდია უგრეხელიძე გაკვირვებული კითხულებს– აბა რაში შეგვაქვს ყოველწლიურად ცვლილებებიო. ჩემო ქალბატონო, ამ დოკუმენტაციას, რომელშიც ყოველწლიურად ცვლილებები შეგაქვთ– არ ჰქვია ქალაქის გენ გეგმა. იქ, სადაც იყიდება საზოგადოებრივი სივრცეები, რეკრეაციული ზონები, ქალაქი ეკოლოგიურ კატასტროფის წინაშეა, უკანონობა სუფევს,სრულიად არაპროფესიონალურ პროექტებს ახორციელებენ, მილიონებს ხარჯავენ და შედეგი ნულის ტოლია, არ ჰქვია ზრუნვა ქალაქზე.

დრო გადის, ამასთან ერთად მიდიან პროფესიონალი ქალაქმგეგმარებლები, ახლები არ იზრდებიან. თანდათანობით ქრება პროფესიონალი კადრები. ეს პროცესი გაგრძელდება, ვიდრე არ შეიქმნება ქალაქგეგმარებისა და ქალაქმშენებლობის პროექტირების და კვლევის ეროვნული ინსტიტუტი, რომელიც დაექვემდებარება მხოლოდ პარლამენტს, რათა შექმნილ და დამტკიცებულ პროექტებში ჩარევის უფლება არ ჰქონდეს ქალაქის მერიას და თავისი გუნება– განწყობილების მიხედვით არ შეიტანონ ყოველწლიური ცვლილებები. ასეთ სამეცნიერო -საპროექტო ინსტიტუტში გაიზრდებიან პროფესიონალური კადრები, დამუშავდება ქვეყნის განსახლების პროექტი,რაიონული დაგეგმარების პროექტები რეგიონებისათვის, საქართველოს ყველა ქალაქისათვის შეიქმნება განვითარებისა და რეკონსტრუქციის გრძელვადიანი პროექტები, განაშენიანების პროექტები და ურბანული განვითარებისათვის აუცილებელი ნორმატიული დოკუმენტები.

ასეთია საქართველოში არქიტექტორთა და არქიტექტურის მიმართ შექმნილი მძიმე ვითარება, რაც ბუნებრივია, მშენებლების საქმიანობასაცამძიმებს. თქვენ კი არქიტექტორების რაღაც „გაჯეჯილებაზე" საუბრობთ. ეს სულ მცირე - გაუგებრობაა.

**საქ. დამსახ. არქიტექტორი-ურბანისტი ლერი გოშაძე,**
**28.08.2013**

# აშშ-მ, შესაძლოა, სირიაზე დარტყმის მასშტაბი გაზარდოს





აშშ-მ, შესაძლოა, სირიაზე დარტყმის მასშტაბი გაზარდოს. „ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, „აშშ სავარაუდოდ, სირიაში სამხედრო ოპერაციის უფრო მასშტაბურ გეგმას განიხილავს“.

როგორც აშშ-ის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელის მოადგილემ ჯეკ კინმა ბრიტანულ ტელერადიოკომპანიას განუცხადა, პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ „რესპუბლიკელ“ სენატორებს განუცხადა, რომ ვაშინგტონი ბაშარ ასადის ძალებისთვის სერიოზული ზიანის მიყენებას გეგმავს, თუ კონგრესი სამხედრო ოპერაციას მხარს დაუჭერს.

კინის თქმით, ამასთან, აშშ სირიაში ამბოხებულთა გარკვეული ჯგუფებისთვის დახმარების გაზრდას გეგმავს.

როგორც ცნობილია, ადრე აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ სირიის წინააღმდეგ თავშეკავებულ და დროში შეზღუდულ სამხედრო ოპერაციას გეგმავს, რომელშიც სახმელეთო ჯარები არ მიიღებენ მონაწილეობას.

– ობამას ადმინისტრაცია სირიაში სამხედრო მოქმედებების დაწყების წინ, კონგრესის თანხმობას დაელოდება, ამის შესახებ სახელმწიფო მდივანმა კაპიტოლიუმში კონგრესმენებთან დახურული შეხვედრის წინ განაცხადა. როგორც „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტი მაიკლ ბოუმანი



მოგვითხრობს, ბაშარ ალ-ასადის რეჟიმზე სარაკეტო თავდასხმის დაწყებასთან დაკავშირებით ვაშინგტონში ერთიანი პოზიცია არ არსებობს.

?ახელმწიფო მდივანი ჯონ კერი აცხადებს, რომ ახალი ინფორმაციები რომელიც, სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებას ადასტურებს, ამერიკის მხრიდან სამხედრო ძალის გამოყენების სისწორეს კიდევ უფრო ამყარებს.

ჯონ კერი: აღმოსავლეთ დამასკოდან დაზარალებული ადამიანებისგან , რომლებიც შველას ითხოვდნენ, თმის და სისხლის სინჯებია მიღებული. ეს მონაცემები ადასტურებს მათ თმაში და სისხლში ქიმიური ნივთიერების ზარინის არსებობას. ასე რომ დღითიდღე კიდევ უფრო სარწმუნო ხდება, რომ სირიაში ქიმიური იარაღი გამოსცადეს.

ჯონ კერი პრეზიდენტ ობამას გადაწყვეტილებას ემხრობა, რომელმაც სამხედრო მოქმედებების დასაწყებად თანხმობის მისაღებად ამერიკის კონგრესს მიმართა.

ჯონ კერი: ეს თამამი გადაწყვეტილებაა. პრეზიდენტი არ ცდილობს იმპერიალისტური საპრეზიდენტო მმართველობა ჰქონდეს.

რესპუბლიკელი სენატორი ჯონ მაკეინი ამერიკის ხელისუფლების უმოქმედობას დაცინის.

ჯონ მაკეინი: როდესაც ამერიკის პრეზიდენტი ამბობს, რომ ეს იყო წითელი ხაზის გადაკვეთა, სხვათა შორის მას არ უთქვამს რომ სამხედრო მოქმედებების დასაწყებად კონგრესის თანხმობას მოითხოვდა. პირიქით, მან განაცხადა რომ ვინაიდან წითელი ხაზის გადაკვეთა მოხდა, შეერთებული შტატები კონკრეტულ ქმედებაზე უნდა გადავიდეს.

კანონმდებლების ნაწილი ეჭვობს, რომ კონგრესი ძალის გამოყენებას დაუჭერს მხარს. ამ თემაზე კომენტარს, რესპუბლიკელი სენატორი საქსბი ჩამბლისი აკეთებს.

საქსბი ჩამბლისი: მისი განცხადებით, თუკი პრეზიდენტმა კონგრესი ვერ დაარწმუნა თავისი გადაწყვეტილების სისწორეში, მაშინ კონგრესი ძალის გამოყენების თანხმობას არ მისცემს. ის უნდა დაეყრდნოს დაზვერვის რეალურ მონაცემებს, რომ ვიცოდეთ რა ხდება სირიაში. ის უნდა იყოს ღრმად დარწმუნებული იმაში, თუ რა ტიპის სამხედრო ჩარევა უნდა განხორციელდეს სირიაში.

შეერთებული შტატების მაღალჩინოსნებმა კვირას კონგრესმენებისთვის ყოვლისმომცველი ანგარიში წარადგინეს. ამის შემდეგ რამდენიმე კონგრესმენმა განაცხადა, რომ ისინი დარწმუნდნენ, რომ სირიაში ქიმიური იარაღი ნამდვილად გამოიყენეს.

„ამერიკის ხმა“ კითხვას სვამს, რა გადაწყვეტილებას მიიღებს კონგრესი?

კონგრესი სრული შემადგენლობით ვაშინგტონში 9 სექტემბერს შეიკრიბება. თუმცა რამდენიმე კანონმდებელი დღეს კაპიტოლიუმში დახურულ კარს მიღმა სირიაში ინტერვენციის საკითხზე ისაუბრებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელ კონგრესმენთა ერთ ნაწილს სჯერა, რომ სირიაში ქიმიური იარაღი ბაშარ ალ ასადის არმიამ გამოიყენა, დემოკრატი ჯანის ჰანი შემდეგ განცხადებას აკეთებს:

„ღირს ამის გამო ომის დაწყება? რა კონკრეტული მიზანი არსებობს იმისთვის, რომ ომში ჩავერთოთ? რაზე უნდა მივცეთ პრეზიდენტს თანხმობა?“

ჰანის განცხადებით, შეერთებულმა შტატებმა ამ მიმართულებით მარტო არ უნდა იმოქმედოს:

„სად არის საერთაშორისო საზოგადოება. თუ მსგავს განუკითხაობასთან და უმსგავსობასთან გვაქვს საქმე?“

რესპუბლიკელი კონგრესმენი სკოტ რიჯელი მიესალმება პრეზიდენტ ობამას გადაწყვეტილებას, სირიაზე სამხედრო შეტევის განსახორციელებლად კონგრესისგან თანხმობა მიიღოს. თუმცა როგორც თავად აცხადებს, კენჭისყრაზე ამ საკითხს ხმას არ მისცემს:

„მე უარს ვაცხადებ, რადგან ჩემთვის ბუნდოვანია ეს გადაწყვეტილება და გაუგებარია მისიის დანიშნულებაც“.

დემოკრატი სენდი ლევინი სირიაში ინტერვენციას მხარს უჭერს:

„ჩემი აზრით, კონგრესმა ერთხმად უნდა დაუჭიროს მხარი პრეზიდენტ ობამას გადაწყვეტილებას, რადგან ეს კარგს არაფერს მოგვიტანს“.

შაბათს პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ კონგრესის მხარდაჭერის გარეშეც შეუძლია სირიაზე დარტყმა განახორციელოს. თუმცა იქვე დასძინა, რომ რომ მას კონგრესის თანხმობაც ჭირდება.

სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ რამდენიმე სატელევიზიო არხზე პირადად გააჟღერა ადმინისტრაციის შეხედულება იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რაც ბოლო რამდენიმე კვირაა სირიის დედაქალაქში ვითარდება:

„კერძო პირების მიერ ჩვენთვის მოწოდებული თმისა და სისხლის ანალიზით დამტკიცდა, რომ დამასკოში ზარინი ანუ მომაკვდინებელი აირი გამოიყენეს“.

ფოქსის საინფორმაციო არხზე ჯონ კერიმ დაიცვა პრეზიდენტ ობამას გადაწყვეტილება, კონგრესისგან სირიაზე სამხედრო შეტევასთან დაკავშირებით თანხმობა მიიღოს:

„ჩვენ არაფერს ვკარგავთ, პირიქით მოგებული ვრჩებით და კონგრესისა და შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანამშრომლობის მაგალითს ვაჩვენებთ“.

სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის განცხადებით, „შეერთებული შტატების უმოქმედობა დაუსჯელობის გრძნობას გაუჩენს დაუნდობელ დიქტატორს, საკუთარი ხალხი გაზით მომავალშიც დაწამლოს“.

საფრანგეთის დაზვერვის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის ერთგულმა ძალებმა ქიმიური იარაღით მასშტაბური შეტევა განახორციელეს.

ცხრა გვერდიან ანგარიშში საუბარია, რომ 21 აგვისტოს თანამგზავრით გადაღებულ ფოტოზე ჩანს რაკეტა, რომლითაც ქიმიური თავდასხმა განხორციელდა, ასადის ძალების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან გაუშვეს.

სირიის ხელისუფლების მხრიდან ქიმიური იარაღის გამოყენების ბრალდებას გერმანიის ფედერალური სადაზვერვო სამსახურიც ეთანხმება . 21 აგვისტოს დამასკოში ქიმიური იარაღი გამოიყენეს – ამის შესახებ „დოიჩე ველე“ წერს.

უწყების ხელმძღვანელ გერჰარდ შინდლერის განცხადებით, ამის პირდაპირი მტკიცებულებები არ არსებობს, თუმცა მხოლოდ სირიის ხელისუფლება ფლობს ასეთ იარაღს.

ირანის ექს-პრეზიდენტი აკბარ ჰაშემი რაფსანჯანის განცხადებით, მას სჯერა, რომ სირიის პრეზიდენტს ბაშარ ასადს შეეძლო გაეცა სანქცია, ქიმიური იარაღის საკუთარი მოქალაქეების წინაღმდეგ გამოყენებაზე.

რაც შეხება ირანის ოფიციალურ ხელისუფლების წარმომადგენლებს, მათ განაცხადეს, რომ სირიაში ქიმიური იარაღი ამბოხებულებმა გამოიყენეს.

„ბი-ბი-სის“ ინფორმაცით, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ირანელი პოლიტიკოსების მოსაზრებები, სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის მხარდაჭერასთან დაკავშირებით გაიყო.

რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი შოიგუს განცხადებით, რუსმა სპეციალისტებმა ხმელთაშუა ზღვის აკვატორიაში ორი ბალისტიკური „ობიექტი“ შენიშნეს. ამის შესახებ „როიტერი“ იუწყება.

სირიის მხარის განცხადებით, ბალისტიკური „ობიექტები“ ზღვაში ჩავარდნენ. პენტაგონის და საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა თქმით კი, ისინი არ ფლობენ ხმელთაშუა ზღვის აკვატორიაში ბალისტიკური რაკეტების ჩაშვების შესახებ ინფორმაციას.

სირიაზე თავდასხმა ექსტრემიზმის გავრცელებასა და



ახლო აღმოსავლეთში მასშტაბური ომის გაჩაღებას გამოიწვევს, მიაჩნია სირიის პრეზიდენტს ბაშარ ასადს.

„ახლო აღმოსავლეთი – ეს დენთის კასრია, რომელსაც დღეს ცეცხლი უახლოვდება“, – განუცხადა ასადმა „ფიგაროს“.

კითხვაზე, როგორი იქნება სირიის რეჟიმის პასუხი იმ შემთხვევაში, თუ მოხდება სამხედრო ინტერვენცია, მან განაცხადა, რომ მხოლოდ სირიის პასუხი არ არის მთავარი, არამედ რა შეიძლება მოხდეს სირიაზე პირველი განხორციელებული თავდასხმის შემდეგ.

„არავინ იცის რა მოხდება. როცა დენთის კასრი აფეთქდება, სიტუაციაზე კონტროლს ყველა დაკარგავს. ქაოსი და ექსტრემიზმი გავრცელდება, არსებობს მთელ რეგიონში ომის გაჩაღების საშიშროება“, განაცხადა ასადმა.

# პუტინმა ესპანეთში ვილა 15 მლნ გირვანქა სტერლინგად იყიდა

„დეილი მეილი“ იტყობინება, რომ 2012 წელს ვლადიმერ პუტინმა ესპანეთის სანაპიროზე ვილა 15 მლნ გირვანქა სტერლინგად შეიძინა. ჟურნალისტების ცნობით, რუსეთის პრეზიდენტის ვილა მარბელიასთან ახლოს მდებარეობს. პრეზიდენტთან მეზობლად ბრიტანელი მუსიკოსის როდ სტიუარტისა და მოსკოვის ყოფილი მერის იური ლუჟკოვის ვილები მდებარეობს, იტყობინება „ფორბსი“.



ესპანური რეზიდენცია 18 ათას კვ. მ. ფართობზეა განთავსებული. სახლში, რომელიც 4 ათასი კვ.მ. ფართობისაა და ხმელთაშუა ზღვას გადაჰყურებს, სპა-ცენტრი, სპორტული დარბაზი, ორი აუზი და კინოთეატრია.

სახლის გვერდით მდებარეობს ჩოგბურთის კორტი, ბოულინგ-კლუბი, გოლფის მოედანი, საჯინიბო, ავტოფარეხი 10-ი მანქანისათვის და ავტოსადგომი 22 მანქანისათვის.

ცოტა ხნის წინ, ბრიტანულმა „საინდი თაიმსმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ რუსეთის პრეზიდენტი, ვლადიმერ პუტინი არაოფიციალურად მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანია. გამოცემის ინფორმაციით, მისი ბიზნეს-იმპერია 130 მლრდ დოლარადაა შეფასებული, რაც 2-ჯერ მეტია, ოფიციალურად მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანის კარლოს სლიმის ქონებაზე.

„სანდი თაიმსი“ წერს, რომ პუტინი ხელისუფლებაში ყოფნისას საკუთარი კეთილდღეობისა და ინტერესების განსამტკიცებლად ყველაფერს აკეთებდა.

პუტინის ქონების განმკარგავად, მხოლოდ მისი ახლო გარემოცვა და ოჯახის წევრები ითვლება. ესენი არიან მიხეილ პუტინი, მიხეილ შელომოვი, ასევე პუტინის ექსმეუღლე ლუდმილა პუტინა და ძმა იგორი.

პუტინის მისწრაფება, რომ ის ისევ პრეზიდენტი გამხდარიყო უკავშირდება პირველ რიგში იმას, რომ პუტინმა საკუთარი ბიზნეს-იმპერიის დაცვა და კიდევ უფრო გაფართოება უზრუნველყოს. კონკრეტულად რა ბიზნესებს აკონტროლებს პუტინი „სანდი თაიმსისთვის“ ზუსტად უცნობია, თუმცა კულუარული ინფორმაციით მას „გაზპრომის“ აქციათა 45 %-ი და რუსული გაზის ყველაზე დიდი ექსპორტიორის კომპანია „გუნვორის“ აქციათა 50 %-ი ეკუთვნის.

**მოამზადა ვერა მამულაშვილმა**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 4 სექტემბერი**

**08.00** დ/ფ "დაოს გზა ანუ უკვდავების ხელოვნება" **09.00** საბ. მხ/ფ "**იქ, სადაც მონსტრები ცხოვრობენ**" **10.30** ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "გურმანია" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ "**დეკემბრის ბიჭები**" **14.30** დ/ფ "რუკების სილამაზე" **15.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **16.20 კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. **საქართველო–პოლონეთი** (გ/ჰ) **18.20** დ/ფ "უხილავი სამყარო" **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **22.50 კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. **სერბეთი - ლიტვა**. პირდაპირი სლოვენიიდან. **00.50** მხ/ფ "**სასიკვდილო იარაღი-2**" (მ.გიბსონი)

**08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **10.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ეგვიპტე" **10.30** "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) **14.00, 19.00, 22.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **16.00** დ/ფ "100 უდიდესი აღმოჩენა" **2** ნაწ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **23.00** მხ/ფ "**მკვლელი ნინძა**"

**08.00** ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ცივი გული**" **12.15** აქედან მთელი საქართველო დაილოცება **12.30** მუსიკალური ლიგა **14.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50, 18.50, 19.05** სერ. "**მაგნატები**". **21.00** სერ. "**დაბრუნება**" **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** სერ. "**შევარდნის თვალი**" **2** სერ. **00.15** მხ/ფ. "**სიყვარული და სხვა უბედურებები**" (ო. ბლუმი)

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** მხ/ფ "HANCOCK" **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ "**ჩვენი ეზო**" **14.00** სერ "**ერთგულების ძალა**" **15.30** იღბლიანი ბორბალი. **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50** სერ. "**ტიტების დრო**" **22.00** სერ. "**დასასრული**" **00.00** სერ. "**სიცრუის თეორია**" **01.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.35** ეთნოგრაფია **06.50** მხ/ფ "**ათოვდა ზამთრის ბაღებს**" II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" (კოლაჟი) **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** მოკ/ფ "**გამსვლელი პაიკი**" **10.55** ჩვენი ფონდი **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **13.20** ქართული მულტფილმი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45, 21.55** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.55** კონცერტი -"კონტრაპუნქტი" მიხეილ შუღლიაშვილი II ნაწ. **16.50** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ/ფ "**რობინზონიადა,ანუ ჩემი ინგლისელი ბაბუა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "მთავარსარდალი" დავით აღმაშენებელი" III ნაწ. **23.40** ჩვენი ფონდი **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** მხ/ფ "**ყვარყვარე**" **02.15** ირაო

**მაესტრო** **7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30** მაღვიძარა (კოლაჟი) **10.15, 16.00 სერ.** "**ღრუბლებს მიღმა**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.40, 15.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **14.00** "კვირის ამბები" (გამ.) **19.00 სერ.** "**1001 ღამე**" **22.00, 4.30** "ყოველდღიური ამბები" **22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე **2.30** მაგთიფანი (გამ.)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


4 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,661 |
| ევრო | 2,1982 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,588 |
| 100 რუსული რუბლი | 4,9952 |

## ამინდის პროგნოზი 4 სექტემბრისთვის





# მალე! მალე! მალე!

ლეგენდარული ქართული დეტექტივის, „მგლის ბილიკის“, გაგრძელება

„შავი ვარდი“

„ახალ თაობასთან“ ერთად


# ვინ დაიცავს თბილისის კულტურულ მემკვიდრეობას?

ეკა ირემაშვილი



ვინ დაიცავს თბილისის კულტურულ მემკვიდრეობას? ეს საკითხი საკმაოდ პოპულარულია არა მარტო არქეოლოგებში, არქიტექტორებსა და ხელოვნებათმცოდნეებში, არამედ თბილისის საკრებულოშიც.

როგორც გაირკვა, თბილისის კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად ბიუჯეტში თანხები მომავალი წლიდან გაიწერება. გასულ კვირას საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი და მისი მოადგილე ჯაბა სამუშია არქეოლოგების ჯგუფს შეხვდნენ.

ირაკლი შიხიაშვილმა განაცხადა:

– შეხვედრაზე განხილული იყო ქალაქის არქეოლოგიური სამუშაოების პრობლემები, ხედვები, მიმართულებები და თანხების საკითხი. ეს შეხვედრა მიზნად ისახავდა პრობლემების ახლოს გაცნობას, რათა მომავალი წლის ქალაქის ბიუჯეტში გაწერილი იყოს ის თანხები, რაც ძველი თბილისისა და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მოვლა-პატრონობას მოხმარდება.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# დიანა ღურწკაია ბათუმში აღარ ჩავა

ეკა ირემაშვილი



რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი დიანა ღურწკაია ბათუმში აღარ ჩავა. როგორც საქველმოქმედო ფონდ „მომავლის ხედვის“ წარმომადგენელმა „ახალ თაობას“ განუცხადა, ამის მიზეზი მომღერლის მოუცლელობაა.

დიანა ღურწკაიას 7 სექტემბერს ბათუმში საგანგებოდ დაგეგმილ საქველმოქმედო კონცერტზე ელოდებოდნენ, რომელშიც მომღერალი სპეციალური საპატიო სტუმარი უნდა ყოფილიყო. ითქვა ისიც, რომ დიანა ღურწკაია სიკეთისთვის დაგეგმილ კონცერტზე რამდენიმე სიმღერასაც შეასრულებდა და მხოლოდ საპატიო სტუმრის სტატუსით არ შემოიფარგლებოდა.

„ჩვენ კვლავაც ერთად დავდგებით“ – ასე ეწოდებოდა კონცერტს, რომელსაც საქველმოქმედო ფონდი 7 სექტემბერს ატარებდა. საქველმოქმედო ფონდი „მომავლის ხედვა“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე ზრუნვით არის დაკავებული.

„ჩვენ კვლავაც ერთად დავდგებით“ – ეს არის სიმღერა, ფონდის ჰიმნი, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ასრულებენ. სიმღერას ინკლუზიური ჯგუფის გუნდი „ნათელი“ ასრულებს. სიმღერა დაიწერა სპეციალურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის საქველმოქმედო ფონდ „მომავლის ხედვის“ მიერ.

როგორც ფონდის წარმომადგენლები განმარტავენ, საქართველოში ას ორმოცდაათი ათასამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. 7 სექტემბერს დაგეგმილი კონცერტით, რომელიც ბათუმის საზაფხულო თეატრში უნდა ჩატარებულიყო, ფონდის მესვეურებს იმ ადამიანების დახმარება სურდათ, რომლებსაც ქართველი საზოგადოების თანადგომა განსაკუთრებულად სჭირდებათ.

– სამწუხაროდ, დიანა ღურწკაიამ ბათუმში ჩამოსვლა ვერ შეძლო. ამის გამო ჩვენი ფონდის მიერ დაგეგმილი კონცერტი ჩაიშალა, უფრო სწორად გადაიდო, თუმცა როდისთვის, ეს ჯერჯერობით ჩვენთვისაც უცნობია. ჩვენ უკვე ყველაფერი დაგეგმილი გვქონდა, შეხვედრაც გავმართეთ ბათუმის ტურიზმის ცენტრის ხელმძღვანელობასთან, სადაც ყველა დეტალი შევათანხმეთ, მაგრამ დიანას ჩამოუსვლელობამ ჩვენი კონცერტი ჩაშალა, – განუცხადეს „ახალ თაობას“ კონცერტის ორგანიზატორებმა.

როგორც ჩანს, დიანა ღურწკაია ახალმა ამბავმა მეორე შვილის გაჩენასთან დაკავშირებით ეიფორიაში ჩააგდო. მომღერალმა დროებით ყველა კონცერტი გააუქმა, შესაბამისად, მაქსიმალურად თავს იკავებს მგზავრობისგან და ყველა იმ დატვირთვისგან, რამაც შეიძლება, მის ორსულობას საფრთხე შეუქმნას. დიანა ღურწკაიამ გასულ კვირას შეიტყო, რომ დედა მეორედ გახდება და 6 წლის კონსტანტინეს შემდეგ ქალიშვილის – ვიქტორიას დედა გახდება.

გარდა ამისა, ქართველი მომღერალი სოჭის 2014 წლის ოლიმპიადის ოლიმპიური ცეცხლის მეჩირაღდნედ არის არჩეული და მან ოლიმპიური ცეცხლი გროზნოში უნდა ატაროს.

როდის ჩამოვა დიანა ღურწკაია საქართველოში და როდის ჩაერთვება საქველმოქმედო ფონდ „მომავლის ხედვის“ მიერ ორგანიზებულ კონცერტში, ეს ჯერჯერობით ღონისძიების ორგანიზატორებისთვისაც უცნობია.

# რევაზ ინანიშვილის კონკურსში საუკეთესოებს დააჯილდოებენ

ეკა ირემაშვილი



ქართველი მწერლის რევაზ ინანიშვილის სახელობის ერთი მოთხრობის კონკურსი 21 დეკემბერს დასრულდება და თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით საქართველოს მწერალთა სახლში ლიტერატურული ჟურნალი „ანეული“ საუკეთესოებს დააჯილდოებს.

როგორც თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრში აცხადებენ, კონკურსის მიზანია ქართულ ლიტერატურულ სივრცეში საუკეთესო ნაწარმოებისა თუ ავტორის გამოვლენა, ახალგაზრდა ავტორთა წარმოჩენა, ამით ლიტერატურულ პროცესებში წვლილის შეტანა.

კონკურსში, რომელიც წლეულს მეოთხედ ტარდება, მონაწილეობდნენ მწერლები თემურ აბულაშვილი, ირაკლი ლომოური, ბექა ქურხული, ვანო ჩხიკვაძე, ლაშა გვასალია, გულო კობიაშვილი, ნოდარ მამაცაშვილი, ირმა გოდერძიშვილი, ციცინო გრატიაშვილი. კონკურსმა ცხადყო, რომ ყოველწლიურად მონაწილეთა რაოდენობა და მასშტაბები იზრდება. კონკურსის ჟიური ამ სამი წლის განმავლობაში თავმჯდომარეობდნენ ქალბატონი დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია, პოეტი მანანა ჩიტიშვილი, პოეტი და მთარგმნელი ბელა შალვაშვილი. კონკურსის მხარდამჭერი წელს პირველად გახლავთ თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრი.

– კონკურსზე ნაწარმოების წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერი ასაკის პირს. კონკურსზე არ დაიშვება გარდაცვლილ ავტორთა ნაწარმოებები. კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ნაწარმოები მოცულობით არაუმეტეს 5 პირობითი ნაბეჭდი გვერდისა. ნაწარმოები უნდა პასუხობდეს რევაზ ინანიშვილის შემოქმედების ესთეტიკას. კონკურსის მონაწილეები 5 სექტემბრიდან 20 ნოემბრამდე საკონკურსოდ გამოყოფილ ელექტრონულ ფოსტაზე გამოაგზავნიან გამოუქვეყნებელ (შესაძლოა იყოს გამოქვეყნებულიც, ოღონდ არა უახლოესი ორი წლის განმავლობაში) საკონკურსო ნაწარმოებს, მონაწილის გვარ-სახელს და საკონტაქტო ინფორმაციას. ფსევდონიმით გამოგზავნილი ნაწარმოები არ განიხილება. ნაწარმოები არ უნდა იყოს პრემირებული.

ნაწარმოები მიიღება ელექტრონული სახით. თითოეული მონაწილისგან მიიღება ერთი ნაწარმოები, რომლის თემატიკაც არ არის შეზღუდული. ნა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ილურიძე ხორვატიაშია, არაბული — ესპანეთში




სპლიტის „ჰაიდუკმა“ გიორგი ილურიძე ოფიციალურად დღეს წარადგინა. ქართველი ფეხბურთელი, რომელიც გორის „დილადან“ გადავიდა ხორვატულ კლუბში, 11-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. ილურიძე და გუნდის კიდევ ერთი ახალწვეული ჰარის ბუკვა კლუბის სპორტულმა დირექტორმა იენს ანდერსონმა გააცნო პრესკონფერენციაზე დამსწრეებს.

შეგახსენებთ, ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გორის „დილამ“ სწორედ სპლიტის „ჰაიდუკი“ გამოთიშა ასპარეზობას. სტუმრად გატანილი გოლის ავტორი კი, გიორგი ილურიძე გახლდათ. რისთვისაც გულშემატკივრებს ბოდიში მოუხადა.

როგორც ხორვატული კლუბის დირექტორმა აღნიშნა, სამწუხაროა, რომ გიორგიმ მიიღო მონაწილეობა „ჰაიდუკის“ ევროთასებიდან გამოვარდნაში, სამაგიეროდ კარგია ის, რომ ამიერიდან ქართველი ფეხბურთელი გუნდის ღირსებას დაიცავს.

გიორგიმ „ჰაიდუკთან“ 30-თვიანი კონტრაქტი გააფორმა.

კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი ბაჩანა არაბული კი, ესპანეთის სეგუნდა დივიზიონში ითამაშებს. საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი კაპიტანი მადრიდის „ალკორკონში“ ნახევარწლიანი იჯარით გადადის.

გეტყვით რომ, სეგუნდა დივიზიონს 3 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით სწორედ „ალკორკონი“ ლიდერობს.

მ. ჟ



# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. თამარ მეფის დედა; 2. ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ აქტიური იმუნიტეტის შემქმნელი სამედიცინო პრეპარატი; 3. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 4. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 5. აპკი, რომელიც ფარავს გულმკერდისა და ფილტვების კედლებს; 11. სასტუმროს თანამშრომელი; 12. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია; 14. ბრიტანული ტაქსი; 16. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 17. სკანდალური საქციელი, გამოხდომა; 19. კაზაკთა დიდი სოფელი; 21. სამხედრო-სამწყრობრო ვარჯიშებისთვის განკუთვნილი მოედანი; 22. იაპონიაში ყველაზე დიდი ოსაკას აეროპორტი.

**თარაზულად**: 6. ერეტიკოსთა და მათი თხზულებების საჯარო დაწვა ინკვიზაციის მიერ შუა საუკუნეებში; 7. თხზულება „აბდულმესიანის“ ავტორი; 8. შვედური საავტომობილო კომპანია; 9. თაღლითი ბანქოს თამაშში; 10. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა; 13. ხრახნული კონვეიერი; 15. უნდო, ეჭვიანი ადამიანი; 18. მონასტერი ყვარლის რაიონში; 20. მდგომარეობა ჭადრაკში; 21. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ქართული ფირმა; 23. გულისცემის აჩქარება; 24. ტერიტორიული ერთეული რუმინეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

4 სექტემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** – ფულს შოულობთ, საყიდლებზე წასვლა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **კურო** – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ, მოემზადეთ. **ტყუპები** – გზიდან ვიღაც ჩამოდის, მას თქვენთვის კარგი ამბავი მოაქვს. **კირჩხიბი** – ფული გაქვთ, კიდევ იშოვით. **ლომი** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ქალწული** – გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრაზე მიდიხართ. **სასწორი** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **ღრიანკალი** – თავს კრიტიკულად შეხედეთ, ასე აჯობებს. **მშვილდოსანი** – იმიჯი შეიცვალეთ, წარმატება მოვა. **თხის რქა** – სახლში კარგი ამბებია, გახარებული ხართ. **მერწყული** – ყურადღების ცენტრში ყოფნა გსიამოვნებთ, სხვები თქვენ შემოგნატრიან. **თევზები** – დაისვენეთ მყუდრო გარემოში, გადაღლილი ხართ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ლურჯი წითელი ყვითელი შავი